ანზორ ბაბუხადია

# დიახ, „საქართველო" არის ესე!

თბილისი
2015

ვუძღვნი შვილიშვილებს
ანდრია და მიხეილ ბაბუხადიებს

ჩვენ, მეოცესაუკუნელებმა, ამ დიდი ეროვნული იდეის განხორციელება თუ ვერ მოვასწარით, ჯერი თქვენზეა.

თქვენ და თქვენმა თაობამ არ დაივიწყოთ სამი წმინდა ხატება:

**„საქართველო“, „ქართველი“ და „ქართული“.**

**თქვენი ბაბუ *ანზორ ბაბუხადია***
**2015 წლის თებერვალი**

ძვირფასო ______

სიამოვნებით მივიღე და შემდგომ მუშაობაში გავითვალისწინებ თქვენს ყველა საქმიან შენიშვნას, რომელიც ამ პრობლემის გადაწყვეტისკენ იქნება მიმართული.

წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისთვის.

უღრმესი პატივისცემით,

ა. ბაბუხადია

# წინათქმა

ჩემთვის ხელმისაწვდომი ისტორიული და სამეცნიერო წყაროებით, 25 საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, ქართველი ხალხის უღირსეულესი წინაპრების — ქუჯისა და ფარნავაზის ბრძნული გადაწყვეტილებით, „იბერიისა“ და „ეგრისის“ სამეფოები ერთ ქვეყნად გაერთიანდნენ და მას „საქართველო“ ეწოდა.

ახალგაზრდობიდანვე ამეკვიატა აზრი იმის თაობაზე, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე უნდა ეწოდებოდეს მისი ღირსეული, ისტორიული სახელი „საქართველო“ და არა „გრუზია“, „გურჯისტანი“, „ვრასტანი“, „ჯორჯია“ და ა.შ. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნის ყოფნის პერიოდში, ამ პრობლემაზე მსჯელობა შეუძლებელი იყო. დაგვიდგა დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნის ნანატრი პერიოდი და ჩემს იდეას არსებობის უფლება და რეალიზაციის პირობები შეექნა. როგორც, ასე თუ ისე, გამოცდილმა და სტაჟიანმა სახელმწიფო მოხელემ, ვიცოდი, რომ ასეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე მუშაობა, გარკვეულ სასურველ შედეგს მხოლოდ მაშინ გამოიღებდა, თუ ამას ვაცნობებდი ქვეყნის პირველ პირს. გამოვიყენე ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობა და სხვადასხვა დროს იდეა პირადად, ერთი-ერთზე გავაცანი ქვეყნის სამივე პრეზიდენტს. მათი მხრიდან, პრობლემისადმი რადიკალურად განსხვავებული პოზიციების გამო, მის განხორციელებაზე შემდგომი ქმედებები, დროებით დავამუხრუჭე...

2013 წლიდან ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით დაიმედებულმა, ამ მიმართებით, სრული ძალებით განვაახლე მუშაობა, რაზედაც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა თქვენს ხელთ არსებული დოკუმენტების კრებული.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ სტიმულს მომცემდა ამ ურთულეს გზაზე, ქართული მეცნიერების მეტრის, უდიდესი ქალბატონის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მხარდაჭერა, რაც მან, ოფიციალურად გამოაქვეყნა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2014 წლის 21 აგვისტოს ანუ ზუსტად 5 დღეში, ამავე გაზეთში გამოქვეყნებული ჩემი ღია წერილიდან,

რომლის ადრესატები არიან საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

მქონდა პატივი ამ წერილთან დაკავშირებით, ოპერატიულად, პირადად გავსაუბრებოდი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს, რომლის რჩევითაც ახალი ძალით შევუდექი მუშაობას იმ დასკვნებისა და შენიშვნების შესაგროვებლად, რომლებიც პრაქტიკულად სრულადაა წარმოდგენილი დოკუმენტების ამ კრებულში.

აქვე მინდა გაგიმხილოთ ერთი საიდუმლო. ვიდრე ამ პრობლემას შევეჭიდებოდი გარკვეული კონსულტაცია მივიღე ქვეყანაში ამ საქმის ერთ-ერთი უპირველესი მეცნიერისგან, რომელმაც ბრძანა: „არ მეგულება ჭკუათმყოფელი კაცი, რომელიც ამ იდეას მხარს არ დაუჭერს“. ამასთან გამაფრთხილა, რომ ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოგიწევსო.

მრავალი შეხსენების მიუხედავად. ჯერჯერობით თავიანთი პოზიციები არ დაუფიქსირებიათ საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს (იხილეთ კრებულის ბოლო დოკუმენტი), რასაც უახლოეს პერიოდში, ალბათ, საგანგებო მსჯელობის საგნად გავხდი.

**ანზორ ბაბუხადია**

***P.S.* *ამ კრებულს, შეპირებისამებრ, პირველად, რა თქმა უნდა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს გავაცნობ და მხოლოდ ამის შემდეგ გადავდგამ სათანადო ნაბიჯებს, რათა აღსრულდეს სრულიად საქართველოს დიდი ხნის ოცნება.***

**ღია წერილი**

# საქართველო ყველგან საქართველოდ უნდა იწოდებოდეს!

## აღუდგინეთ ჩვენს ქვეყანას თავისი ისტორიული სახელი!

**გავკადნიერდი და თავს უფლებას ვაძლევ, ჩემი აზრით, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის გამო ღია წერილით მოგართოთ თქვენ ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ, ბატონო პრემიერ-მინისტრო და ქალბატონო იუსტიციის მინისტრო.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2013 წლის 2 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი: „სხვა საქართველო სად არის?!, ანუ რა უნდა ეწოდოს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ყველა ენაზე!“ ამას მოჰყვა ჩემი კიდევ ერთი წერილი „დიახ, „საქართველო“ არის ესე!“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 20 ივნისი 2014 წ.) და თვალსაჩინო ქართველ მოღვაწეთა, სრულიად საქართველოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის დარბაზის 14 ღირსეული წევრის განცხადება (გაზ. საქართველო და მსოფლიო“, 2014 წლის 16 ივლისი), რომელთაც მხარი დაუჭირეს წინადადებას, რომ საქართველოს მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს თავისი კუთვნილი და ღირსეული საკუთარი სახელი „საქართველო“ და ისტორიას ჩაბარდეს მისი უკანონო ისეთი სახელები, როგორებიცაა „გრუზია“, „გურჯისტანი“, „ჯორჯია“, „ვრასტანი“ და ა.შ.

იმის გამო, რომ პრობლემა მრავალწახნაგოვანია და ვერანაირი საგაზეთო სტატია ვერ დაიტევს მისი ყველა ასპექტის განხილვას, დაბეჯითებით გთხოვთ, წერილობით მაცნობოთ თქვენი პოზიცია და მოსაზრება ამ უმნიშვნელოვანეს თემასთან დაკავშირებით. საჭიროდ და გამართლებულად თუ ჩათვლით, მზად გახლავართ, ნებისმიერი ფორმატით ვითანამშრომლო თქვენთან, რათა, აღსდგეს სრულიად საქართველოს დიდი ხნის ოცნება.

იმედია, არც თქვენთვის იქნება მიუღებელი საკითხის ამგვარად დასმა და მხარსაც დაუჭერთ მას.

ეს კი, მერწმუნეთ, სრულიად საქართველოს ქართველი მოსახლეობის ნანატრი ოცნების ასრულება იქნება.

ულრმესი პატივისცემით
ანზორ ბაბუხადია.

ⓞ გვეხმაურებიან

# საქართველოს უკანონო სახელები წარსულს უნდა ჩაბარდეს!!!



ისტორიკოსი, პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე გამოეხმაურა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 15 აგვისტოს გამოქვეყნებულ ანზორ ბაბუხადიას ღია წერილს „საქართველო ყველგან საქართველოდ უნდა იწოდებოდეს!" როგორც ქალბატონი მარიამი ამბობს, ის სრულიად იზიარებს წერილის პათოსს: **„საქართველო უნდა იხსენიებოდეს ყველა ენაზე, როგორც „საქართველო". თუკი მოგყავს ციტატა ამა თუ იმ წყაროდან, მაგალითისთვის, ვთქვათ, არაბული დოკუმენტებიდან, მაშინ ქვეყანა იწოდება ისე, როგორც წყაროშია მითითებული. მაგრამ, როცა თანამედროვე დროში ხდება მოქმედება, უნდა იწოდებოდეს, როგორც საქართველო".**

შეგახსენებთ, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამის შესახებ არა ერთხელ დაიწერა, ხოლო ბოლო წერილში ჩოხოსან რაინდთა დასის დარბაზის წარმომადგენელი ანზორ ბაბუხადია უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრსა და იუსტიციის მინისტრს მიმართავს. **„საქართველოს მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე უნდა ეწოდოს თავისი კუთვნილი და ღირსეული საკუთარი სახელი „საქართველო" და ისტორიას ჩაბარდეს მისი ისეთი უკანონო სახელები როგორებიცაა: „გრუზია, „გურჯისტანი", „ჯორჯია", „ვრასტანი" და ა. შ.",** — წერს ბატონი ანზორი.

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელს

ბატონ ა. ბაბუხადიას

ასლი: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

**ბატონო ანზორ!**

მივესალმები და მთელი სულითა და გულით ვუჭერ მხარს ეროვნული მნიშვნელობის თქვენს ინიციატივას, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს კონსტიტუციით დაკანონებული მისი საკუთარი სახელი - **„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“.**

თქვენს ამ პოზიციას ვინც ორჭოფულად შეხედავს, მათ საყურადღებოდ ხმამაღლა ვაცხადებ, რომ საკუთარი სახელი, საერთოდ არ ითარგმნება!

აღნიშნულ თემაზე მსჯელობა ხანდახან მეც მომისმენია, მაგრამ საუბარი საუბრად რჩებოდა და შესაბამისი კონკრეტული ქმედებები, არავისგან არ მახსოვს.

არ გამოვრიცხავ, რომ ამ ურთულეს გზაზე, გარკვეული წინააღმდეგობები შეგხვდეთ, მაგრამ სიმართლე თქვენს მხარესაა და აუცილებლად გაიმარჯვებთ, სრულიად საქართველოსთან ერთად.

მიგულეთ თქვენს გვერდით.

**რეზო ჩხეიძე**

**სსრკ სახალხო არტისტი, კინო-რეჟისორი,**

**მშვიდობის ელჩი, ყოველთა ქართველთა მსოფლიო**

**კონგრესის პრეზიდენტი**

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ ᲘᲐᲕᲜᲐᲜᲐ
PAATA BURCHULADZE INTERNATIONAL CHARITY FOUNDATION IAVNANA

№ 1/198/1 10 10 2014

გაზეთ „თანადგომის" რედაქტორ-გამომცემელს

ბატონ ანზორ ბაბუხადიას

ბატონო ანზორ,

მოგესალმებით და მინდა გაცნობოთ, რომ სრულიად ვიზიარებ თქვენი წერილის პათოსს. საქართველოს მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო". ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ საკითხის განხილვა სასურველია მოხდეს ისტორიკოსების, ეკონომისტების, დიპლომატიური კორპუსისა და ეკლესიის წარმომადგენლთა ფართო წრის მონაწილეობით.

პატივისცემით

პაატა ბურჭულაძე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 0160,
ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ №28
28, Pekini ST. Tbilisi, 0160, Georgia
Tel: (+995 32) 37 46 84; Fax: (+995 32) 37 46 83
www.iavnana.ge E-mail: info@iavnana.ge

ბატონ ანზორ ბაბუხადიას

ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანას - საქართველოს, რომელსაც გააჩნია თავისი ანბანი, დამწერლობა და მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიოს კულტურის მშენებლობაში, მისი ეთნო სახელი - „საქართველო“ უცვლელად უნდა იკითხებოდეს ყველა ენაზე შესატყვისად ქართულ ფონეტიკური ჟღერადობისა.

პატივისცემით
გიორგი(გიგა) ბათიაშვილი
დოქტორი, პროფესორი,
არქიტექტურის მსოფლიო აკადემიის
და სხვა აკადემიების აკადემიკოსი,
საერთაშორისო, საკავშირო,სახელმწიფო
და სხვა პრემიების ლაურიატი,დამსახურებული
არქიტექტორი, ხელოვნების დამსახურებული
მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე და სხვა...

25.09.2014



## ბატონო ანზორ!

დიდებული საქმეა, რასაც თქვენ აკეთებთ, მაგრამ ახლა, ამ არეულობის ჟამს, ამაზე ლაპარაკი არ მიმაჩნია სწორად. წარმოიდგინეთ, ჩვენი ყველა საბუთი გაბნეული მთელს მსოფლიოში როგორ არეულობას გამოიწვევს ევროსაბჭოში, ნატოში, თუ ყველა იმ სფეროში სადაც საქმე გვაქვს? როცა ქვეყანა რალაც სტატუსს მიიღებს, როცა ქვეყანაში სიმშვიდე დამყარდება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იქნება თქვენი ჩანაფიქრი. და თუ მაინცდამაინც დღესაა აუცილებელი, კი ბატონო, მე უარს არ გეუბნებით.

**პატივისცემით**
**მერაბ ბერძენიშვილი.**

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელს
ბ-ნ ანზორ ბაბუხადიას

ბატონო ანზორ,

ამ პატარა ბარათით მინდა დაგიდასტუროთ ჩემი მხარდაჭერა თქვენ ინიციატივასთან დაკავშირებით, ჩვენი ქვეყნისთვის მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე „საქართველოს “ სახელწოდების მინიჭების თაობაზე. რაც ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის უცილობელი მოთხოვნაა.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა პროცესუალურად ძალზედ რთულია, მაგრამ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მონდომებისა და ამ მიმართებით კვალიფიციურად შედგენილი ეტაპობრივი პროგრამის განხორციელების პირობებში, თქვენი იდეის ხორცშესხმას წინ არაფერი არ უნდა დაუდგეს.

პატივისცემით /მინდია უგრეხელიძე/

---

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელს
ბატონ ანზორ ბაბუხადიას!

ბატონო ანზორ!

სავსებით ვიზიარებთ და მხარს ვუჭერთ თქვენს იდეას იმის თაობაზე, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ყველა ენაზე იწოდებოდეს „საქართველოდ“ და არა „ჯორჯიად“, „გრუზიად“ და ა.შ.

ქართველმა ხალხმა მას /ანუ ქართველთა საცხოვრისს/ მრავალი საუკუნის წინ უწოდა „საქართველო“. ასე რომ, ეს მისი საკუთარი სახელია, ხოლო საკუთარი სახელი, როგორც წესი, არცერთ სხვა ენაზე არ ითარგმნება.

პროფ. მიხეილ მახარაძე

**გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელს**

**ბატონ ანზორ ბაბუხადიას**

**ბატონო ანზორ!**

მოგესალმებით და მხარს ვუჭერ თქვენს მეტად სერიოზულ ინიციატივას, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო“. ვინაიდან საკუთარი სახელის თარგმნა არ შეიძლება, მომავალში ჩვენი ქვეყანა ყველა ენაზე უნდა იწოდებოდეს „საქართველოდ“. ეს მარტო ჩემი სურვილი არ არის, ვფიქრობ ამ იდეას ბევრი გამოჩენილი პიროვნება გაიზიარებს, თუმცა ამ საქმის ხორცშესხმა ბევრ სერიოზულ პრობლემასთან იქნება დაკავშირებული. მახსოვს, 1969 წელს, როცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეები ჩატარდა, ჩვენმა კულტურის მინისტრმა ბატ. ოთარ თაქთაქიშვილმა თხოვნით მიმართა გდრ-ის სათანადო ორგანოებს შეეცვალათ რუსულიდან წარმოებული სიტყვა „Grusien“ უფრო სწორი სიტყვით „Georgien“. ამან გერმანიის გარკვეულ წრეებში დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია, მაგრამ ბოლოს მაინც მოგვარდა.

თქვენი იდეა მსოფლიოსთვის არ იქნება იოლი გადასაწყვეტი, იგი ბევრ პრობლემას შექმნის, მაგრამ მე ბუნებით ოპტიმისტი გახლავართ და ვფიქრობ, რომ საქმე საბოლოოდ მოგვარდება.

ჩათვალეთ, რომ მე თქვენს გვერდით ვარ და მხარს ვუჭერ თქვენს მეტად მნიშვნელოვან ინიციატივას.

**პატივისცემით**

**ანზორ ერქომაიშვილი**

**14.11.2014 წ.**

ძვირფასო ანზორ,

გილოცავ, თქვენი მისწრაფება და ინიციატივა იმის [illegible], რომ [illegible] უნდა [illegible] საქართველო მსოფლიოს ხალხებს ყველა ენაზე, ისეთივე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, ჩემთვის თქვენი ასეთი მისწრაფება და ინიციატივა. და თქმა უნდა, სამართლიანი და [illegible] იქნება ჩვენს ქვეყანას ყველა ენაზე [illegible] საქართველო- და ჩემთვის თქვენი წიგნით, ისტორიის [illegible] ისეთი სახელებით, ჩემთვის [illegible] „[illegible]“, „[illegible]“, „[illegible]“, „[illegible]“ და ა. შ. „ქვეყნების [illegible]“ სხვა ენაზე [illegible] პროფესორს, ხომ [illegible] [illegible] [illegible], მსოფლიოში დამკვიდრებული არ არის.

ახლახან, ჩემთვის ამის [illegible] თქვენი [illegible], პროფესორ [illegible] [illegible]. [illegible] მნიშვნელოვანი [illegible] [illegible] [illegible], [illegible] რომ ქვეყნის სახელის [illegible] [illegible] არ უნდა [illegible] [illegible] [illegible] ([illegible]) [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] საქართველოს [illegible] [illegible] [illegible] სახელი. [illegible], რა [illegible] არ უნდა [illegible], [illegible] [illegible], რომ ჩვენი ქვეყნის [illegible] [illegible] [illegible] ქვეყნების [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible], სახელი [illegible] არ უნდა [illegible] [illegible] და [illegible]. [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], ქვეყნის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] იქნება [illegible] [illegible] და [illegible] ყველა [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible], [illegible] და [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible], [illegible] ამის [illegible] [illegible] [illegible], ამ [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible],

ვაჟა [illegible], [illegible].

12.10.14წ.

## ბატონო ანზორ!

სრულიად ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას. ჩვენი ქვეყნის სახელწოდება „დაბადებიდან“, მის ისტორიულ წარსულსაც მოიცავს! ამიტომ, მისი სამართლებრივად ე.წ. სხვადასხვა კუთხური „ჟარგონი“ ნამდვილად მიუღებელია! ამიტომ მხარს ვუჭერ ასეთ ინიციატივას!

**ოთარ მელქაძე**
**07.10.2014**

---

**ბატონ ანზორ ბაბუხადიას** გულწრფელი პატრიოტული სურვილი ჩვენს დიდებულ სამშობლოს ყველა ენაზე „საქართველო“ ეწოდოს, პრესის ფურცლებზე აისახა და სათანადო გამოხმაურებაც ჰპოვა, თუმცა არასაკმარისი. ბ-ნმა ანზორმა გადაწყვიტა სახელმწიფოს უმაღლეს პირებს მიმართოს იმავე წინადადებით.

ჩვენ, ვისაც ჭეშმარიტად გვიყვარს დედასაქართველო, გულწრფელად ვიზიარებთ ბ-ნი ანზორის სურვილს, თუმცა იმავე დროს ვაცნობიერებთ უცხოეთში ოდითგანვე დამკვიდრებულ სტერეოტიპებს, რომელთაც თავიანთი ისტორიულად ჩამოყალიბებული სემანტიკური დატვირთვა გააჩნია (მაგ. „გეორგიანოს“). მათი შეცვლა, როგორც სწორედ სტერეოტიპი, არ არის ადვილად გადასალახი.

**არნოლდ გეგეჭკორი**
**პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**
**29.10.2014**

გაზეთ ,,თანადგომის''

რედაქტორ - გამომცემელს

ბატონ ა. ბაბუხადიას

ბატონო ანზორ

მივესალმები და მხარს ვუჭერთ თქვენს ინიციატივას, რომ ჩვენ ქვეყანას მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე, ეწოდოს საქართველოს კონსტიტუციით დაკანონებული სახელწოდება ,,საქართველო''

მიგულეთ თქვენს გვერდით

პატივისცემით"პიონერფილმის"

ხელმძღვანელი: გრიგოლ ჩიგოგიძე

28-X.'2014.

**გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელს**

**ბატონ ა. ბაბუხადიას**

ბატონო ანზორ,

მოგესალმებით და მხარს ვუჭერ თქვენს უსერიოზულეს ინციატივას, რომ ჩვენს ქვეყანას, მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე, ეწოდოს საქართველოს კონსტიტუციით დაკანონებული სახელწოდება „საქართველო“, იმ უმნიშვნელოვანესი, საყოველთაოდ აღიარებული წესის შესაბამისად, რომ საკუთარი სახელის თარგმნა არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, მომავალში ჩვენი ქვეყანა აღარ უნდა იწოდებოდეს როგორც „ჯორჯია“, „გრუზია“, „გურჯისტანი“ და ა.შ.

გვიგულეთ თქვენს გვერდით.

**ქართველ კომპოზიტორთა სახელით**

ნუნუ [illegible]
ვაჟა აზარაშვილი
ნუნუ გაბუნია
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

ყოველმა ქართველმა თავისი [illegible]-
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
ჭავჭავაძის [illegible].
ჩვენ სკოლას [illegible] და [illegible],
რომ [illegible] საქართველოს [illegible]
საქართველოს [illegible] [illegible].
([illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible]
და სხვა.
[illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]! და [illegible]
[illegible] [illegible] [illegible]!
[illegible]: [illegible] [illegible], [illegible] [illegible], [illegible]
[illegible] [illegible] და [illegible] [illegible].

[illegible] [illegible]

საქართველოს
პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის წევრი

№10749/3-94
16.10.2014

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელს, ბატონ ანზორ ბაბუხადიას,

(მცხ. თბილისი, ირაკლი აბაშიძის 6, ბ.4)

ბატონო ანზორ,

თქვენი მოსაზრება, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხთა ყველა ენაზე უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე სახელწოდება „საქართველო“ შესაძლოა, რამდენადმე ხელს შეუწყობს ქვეყნის იდენტიფიცირებას და კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში დამკვიდრებას. იდეა საინტერესოა, მაგრამ არსებობს არაერთი სხვა ანგარიშგასაწევი მოსაზრებაც. ანალოგიურ საკითხებზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მყარი მეცნიერული არგუმენტაცია. ამდენად, საკითხი სამეცნიერო წრეებში სერიოზულ განხილვას ექვემდებარება.

პატივისცემით,

განათლების, მეცნიერების და

კულტურის კომიტეტის

თავმჯდომარის მოადგილე,

ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო ჩაფიძე

**ყველასაგან მხარდასაჭერი,**
**საერთაშორისო მნიშვნელობის**
**სახელმწიფოებრივი ინიციატივა**

ბატონმა ანზორ ბაბუხადიამ ერისა და ბერის სამსჯელოდ და გადასაწყვეტად წამოაყენა ახალი შესანიშნავი მოსაზრება, რომ ჩვენს სახელმწიფოს საერთაშორისო მასშტაბით ეწოდოს ერთი სახელი – „საქართველო“. ამ მოსაზრებას საუკუნეებია, რაც გულით და შინაგანი წუხილით ატარებს გონიერი ქართველი ხალხი. მას აწუხებს, როცა საქართველოს ნაცვლად ესმის, სხვადასხვა ერებისაგან: „გრუზია“, „გურჯისტან“, „გეორგია“ ან „ჯორჯია“...

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბატონ ანზორ ბაბუხადიას ინიციატივას, რომ საქართველოს სახელმწიფოს მის გეორიგრაფიულ ტერიტორიას ეწოდოს „საქართველო“, მხარს ერთხმად დაუჭერს ხალხი. ახლა მთავარია საქართველოს პარლამენტმა, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა ხალხის გულისნადები მიიყვანონ ბოლომდე.

გიორგი ნაჭყებია
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი;
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი;
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;
ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი;
ნაჭყებიათა საგვარეულო კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე;
ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი;
ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: 299-00-52; 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge

"20" 10 2014წ.
№ 010107-390/399
თქვ. №

გაზეთ „თანადგომის" რედაქტორ-გამომცემელს

ბატ. ა. ბაბუხადიას

ბატონო ანზორ,

თქვენი წინადადება - ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო", განსახილველად გადაეგზავნა მეცნიერებათა აკადემიის რამდენიმე წევრს. მათ მიაჩნიათ, რომ იდეა ძირითადად მართებულია, თუმცა პრობლემის გადაწყვეტა მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული (გაახლებთ აკადემიკოს ზაზა ალექსიძისა და აკადემიკოს წევრ-კორესპონდენტ ავთანდილ არაბულის დასკვნებს).

პატივისცემით

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი
როინ მეტრეველი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL - IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

№2187/01-01-05-01

31.10.2014

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელს

ბატონ ანზორ ბაბუხადიას

ბატონო ანზორ,

თქვენი წერილი (№25072/02, 18.08.2014) ჩვენი ქვეყნისათვის მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე „საქართველოს“ სახელის დამკვიდრების თაობაზე, საგულისხმო და ყურადსაღებია. აქედან გამომდინარე, იგი განხილულ იქნა უნივერსიტეტის რამდენიმე გამოჩენილი მეცნიერის მიერ. იმის გამო, რომ წარმოდგენილი დასკვნები, ცალკეულ შემთხვევებში, ერთმანთისგან გარკვეულწილად განსხვავდებიან, სასურველია, არსებული რეგლამენტის გათვალისწინებით, მათი განხილვა მოწყოს საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის შესაბამის სტრუქტურებში. მათი სურვილის შემთხვევაში, ჩვენი სათანადო სპეციალისტები, თქვენთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ პრობლემის გადაწყვეტის პროექტის მომზადებაში.

პატივისცემით,

რექტორი, პროფესორი აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი: +995 32 222 02 41 Tel.
ფაქსი: +995 32 222 51 07 Fax
ელ-ფოსტა: rector@tsu.ge E-mail
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge E-mail

## გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელს

## ბ-ნ ანზორ ბაბუხადიას

**ბატონო ანზორ,**

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ერთსულოვნად უჭერს მხარს თქვენს ეროვნულ წინადადებას იმის თაობაზე, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო“.

**ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის**

**პრეზიდენტი /ლ. ჩიქავა/**

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელს

ბატონ ანზორ ბაბუხადიას

ბატონო ანზორ,

თქვენი წინადადება „საქართველო უნდა იხსენიებოდეს ყველა ენაზე, როგორც „საქართველო“ ყველასათვის სამომავლო ფიქრისა და განსჯის საგნად უნდა იქცეს. წინადადება მართებულია, მაგრამ გარკვეული სირთულეების შემცველია (დღეს უცხოეთში „საქართველოთი“ არავინ გვიცნობს), საკამათო არაა- ქვეყანას უცხოეთში ერთი სახელი უნდა ჰქონდეს.

პატივისცემით,

ხელოვნების მუზეუმის კონსერვატორი,

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი - გიორგი მარსაგიშვილი

2015 წლის 9 თებერვალი

ააიპ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი

**CREATIVE UNION OF GEORGIAN WRITERS**

საქართველო, თბილისი, მწერალთა სასახლე, ივ. მაჩაბლის №13
13 Iv. Machabeli st. The Writer's Palace, Tbilisi, Georgia
ტელ. Tel. 230 78 23, 230 78 24
mako_gona@mail.ru

№ 71/02

„15" 09 2014 წ.

### მხარს ვუჭერთ

საქართველოს მწერალთა კავშირი მხარს უჭერს ცნობილი პუბლიცისტის, გაზეთ „თანადგომის" რედაქტორ-გამომცემლის ანზორ ბაბუხადიას წინადადებას შესახებ იმისა, რომ საქართველოს, ნაცვლად სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული სახელისა („გრუზია", „ჯორჯია", „იბერია", „ვრასტანი", „გურჯისტანი"...), აწდა მარადის მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს ერთი სახელი „საქართველო".

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე — რევაზ მიშველაძე

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №4

ტ. 599 15-77-15, 595 57-99-43,

599 29-39-67.

Email: litsaqartvelo@yahoo.com

National academy of georgian writers

C. TBILISI, Liberty Square #4

T. 599 15-77-15, 595 57-99-43,

599 29-39-67.

Email: litsaqartvelo@yahoo.com

1/55 09. 10. 2014

## „იბერია“ თუ „საქართველო“?!

გამოხმაურება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2013 წლის 2 აგვისტოს №145-ში დაბეჭდილი იყო ბ-ნ ანზორ ბაბუხადიას პრობლემური წერილი, – „სხვა საქართველო სად არის?! ანუ რა უნდა ეწოდოს ჩვენს ქვეყანას მხოფლიოს ყველა ენაზე!“

წერილში ერთ ადგილას ვკითხულობთ: „...ამ პრობლემის დეტალურ განხილვას და საკუთარი პოზიციების დასაბუთებას, რა თქმა უნდა, მთლიანად ეს გაზეთიც არ ეყოფა და ამიტომ მასზე მსჯელობა დროებით უნდა გადავდოთ“.

წელიწადზე მეტი გავიდა ამ წერილის გამოქვეყნებიდან. დროებით გადადებული პრობლემის საფუძვლიანი განხილვა-ანალიზი ჯერაც არ დაწყებულა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მოკლე გამოხმაურებას.

არადა, პრობლემა მართლაც დროულ, ღრმა და საფუძვლიან მიდგომას მოითხოვს.

ყველასთვის ცნობილი ამბავია, რომ ადამიანი და მთელი ერი თავისი გენეტიკური და მენტალური კოდით დაკავშირებულია უნივერსუმთა სამყაროთა იდუმალ მექანიზმს, მის მთლიან ორგანიზმთან, მის ფიქსირებულ თუ ბნელ ენერგიებსა და მისტერიებთან, ჩართულია მის ერთიან კანონზომიერებაში. ცალკეული პიროვნება თუ ერი მთელ ამ კოლოსალურ, ხილულ თუ უხილავ რეალობებს დაკავშირებულია საბოლოო კოდიფიკაციით, რომელიც დასაბამით (და უპირველესად!) ჩადებულია „სახელში“! ასე რომ, სახელთა სემიურგია არ ყოფილა რაღაც შემთხვევითი და მექანიკური, არამედ მის სემანტიკურობაში მოქმედებდა ფიზიკური, ქიმიური, მათემატიკური, გეომეტრიული,

თეოლოგიური, მითური და ა.შ. კოდ-სიმბოლოები, რომელთა მთლიანობა წარმოადგენდა პაროლს სამყაროს ჰარმონიულობაში შესასვლელად, მასთამ თანაყოფიერებაში, რითაც განსაზღვრავდა, აკონტროლებდა და სიტუაციათა შესაბამისად ირჩევდა სივრცესა და დროს, ანუ არსებობისთვის აუცილებელ გარემო-პირობებს.

თუ პიროვნება და ერი რაიმე გარეგანი ძალით, ანდა შინაგანი პათოლოგიური გადახრებით კარგავდა თავის სახელს, ეს მოასწავებდა სამყაროს შიფრ-კოდის დაკარგვას. ამდაგვარ შემთხვევაში პიროვნებაც და ერიც კარგავდა ადგილს სამყაროში. ადგილს ისტორიაში, ადგილს მომავალში.

გამომდინარე აქედან, დასაბამითი სახელწოდების დაბრუნებით, უბრალოდ მოვალენი კი არა, არსებითად, დამოკიდებულნი ვართ სამყაროს ვიტალურ სივრცესა და დროში ჩვენი სამომავლო ყოფიერებით. ამიტომ უნდა ჩავუღრმავდეთ ჩვენი ონომასტიკის სემიურგიულ შრეებს, გამოვიკვლიოთ დასაბამიერი სახელი-კოდი და სახელწოდება „საქართველო“, შესაბამისად, აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ და დავიმკვიდროთ იგი.

ამ პრობლემის გადაჭრის საკითხის „დროებით გადადება“ არ უნდა გაიწელოს. ამას დღეიდანვე უნდა შეუდგეს ერი თუ ბერი, სახელმწიფო თუ ცალკეული მოღვაწე პირი.

პატივისცემით –

*გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია*

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
THE GEORGIAN EDUCATIONAL SCIENTIFIC ACADEMY
АКАДЕМИЯ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ НАУК ГРУЗИИ

თბილისი, ზანდუკელის 1; 1, Zandukeli Str., Tbilisi; Тбилиси, ул. Зандукели 1
ტელ/Tel/Тел: +(995 32) 93 28 98; 99 55 09

№ 04 „12" სექტემბერი 200 წ.

გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის"
მთავარ რედაქტორს ალეკო ასლანიშვილს

საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია სრულიად იზიარებს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, გაზეთ "თანადგომის" რედაქტორ-გამომცემლის ბატონ ანზორ ბაბუხადიას წინადადებას იმის თაობაზე, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ყველა ენაზე იწოდებოდეს "საქართველოდ".

საქართველოს განათლების მეცნიერებათა
აკადემიის საპატიო პრეზიდენტი
ნათელა ვასაძე

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

**THE ACADEMY OF SCIENCES HUMANITARIAN & ARTS OF GEORGIA**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №55 ☎ 218-40-15 • 55, I. CHAVCHAVADZE AVE. TBILISI, GEORGIA

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

PRESIDENT


20 ოქტომბერი, 2014 წ.

გაზეთ „თანადგომის“
რედაქტორსა და გამომცემელს
ბ-ნ **ᲐᲜᲖᲝᲠ ᲑᲐᲑᲣᲮᲐᲓᲘᲐᲡ**

ბატონო ანზორ!

ვადასტურებ რა თქვენდამი გულწრფელ პატივისცემას, გაცნობებთ, რომ მივესალმები თქვენს პატრიოტულ წამოწყებას ჩვენს სამშობლოს – საქართველოს მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო“. შესანიშნავი სურვილია, მაგას რა სჯობს თუ დაახლოებით 5 ათას ენაზე ალაპარაკებული მსოფლიო „საქართველოს“ ძახილში გაათენებს და დააღამებს, მაგრამ ... აი, ეს მაგრამაა სწორედ ამ სურვილის განხორციელების აქილევსის ქუსლი, რამეთუ ყველა ქვეყანა თვითონ წყვეტს ვის რა და როგორ უწოდოს. ჩვენ თვითონაც ხომ ჩვენ მეზობელ ჰაიასტანსა და არმენებს სომხეთსა და სომხებს ვეძახით, ელადასა და გრეკებს საბერძნეთად და ბერძნებად მოვიხსენიებთ, დოიტშლანდსა და დოიტშეს გერმანია და გერმანელები ვუწოდეთ და ა.შ. იაპონელებმა, ჩვენი თხოვნით შეცვალეს საქართველოს დასახელება და „გრუზიას“ ნაცვლად უწოდეს ... „ჯორჯია“(?!). ბევრისთვის (ალბათ, ძალიან ბევრისთვისაც) „საქართველო“ მშობლიურ ენაზე ძნელი წარმოსათქმელი იქნება და თვითონ გადაწყვეტს როგორ გვიწოდონ. უკეთეს შემთხვევაში, ალბათ, უმრავლესობა ინგლისურ „ჯორჯიას“ ირჩევს.

ბ-ნო ანზორ, რა თქმა უნდა, ჩვენს ხელისუფლებას შეუძლია მიმართოს სხვადასხვა სახელმწიფოებს თხოვნით თქვენი მამულიშვილური სურვილის შესახებ, მაგრამ ვწუხვარ, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა, ვფიქრობ, ამ თხოვნას არ გაიზიარებს – ეს მხოლოდ მათი არჩევანია.

გისურვებთ წარმატებებს.

გულწრფელი პატივისცემით
**ᲓᲔᲛᲣᲠ ᲑᲐᲨᲔᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

ქ. თბილისი, 0186, ალექსანდრე ყაზბეგის 47. 2311475; 593 239 958. მეილი: temur.babunashvili@mail.ru

Tbilissi. 0186 aleksandre kazbegi av. 47. tel: 2311475; 593 239 958 mail: temur.babunashvili@mail.ru

№ ბ/ა-20-12 | 14 დეკემბერი - 2014

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ განიხილა და მოისმინა 2013 წლის 2 აგვისტოს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული ცნობილი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, "დედაენის" საზოგადოების დამფუძნებელთაგანის, გაზეთ "თანადგომი"-ს რედაქტორ-გამომცემლის ბატონ ანზორ ბაბუხადიას წერილი, რომელშიც იგი წინადადებით გამოდის ჩვენი ქვეყნის სახელის ყველა ენაზე "საქართველოდ" სახელდების შესახებ. კერძოდ ბატონი ანზორი მიიჩნევს, რომ ერთხელ და სამუდამოდ ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს და მსოფლიო ხალხთა ყველა ენაზე უნდა იწოდებოდეს "საქართველო", როგორც ეს პირველმა ოფიციალურად იაპონიამ უკვე დაადასტურა. აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას ჩვენი ქვეყნის ცნობილმა მეცნიერებმა და ორგანიზაციებმა დაუჭირეს მხარი.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე გაიმართა სერიოზული კამათი და აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ საბოლოოდ კრების მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა როგორც ზევით ავღნიშნეთ ცნობილი მეცნიერების, აკადემიკოსების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მოსაზრებებს აღნიშნული სახელწოდების აღიარების შესახებ.

საქართოელოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია იწონებს და მხარს უჭერს აღნიშნულ მოსაზრებას რათა საერთაშორისო დონეზე ჩვენს ქვეყანას ეწოდოს "საქართველო" და გამოვთქვამთ რწმენას, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და ორგანიზაციები გაითვითცნობიერებენ ამ სახელწოდების დატვირთვას და მნიშვნელობას საერთაშორისო დონეზე.

აკადემიის კრების სახელით:

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი, ღირსების ორდენის
კავალერი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე: თეიმურაზ ბაბუნაშვილი

**საქართველო**
**ფაზისის საერო აკადემია**

პრეზიდენტი: 899 168999; 396568
თანაპრეზიდენტი: 893 153470; 224094
ვიცე-პრეზიდენტი: 893 348377; 606969
სწავლული მდივანი, ვიცე-პრეზიდენტი: 893 554847; 360755

საქართველო, 0162, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 25
საქართველო, 4400 ფოთი, რუსთაველის რკალი,
კოლხური კოშკი, ტელ.: 8 293 40738

**GEORGIA**
**NATIONAL ACADEMY OF FAZISI**

President: +99599 168999; +99532 396568
Co-President: +99593 153470; +99532 224094
Vice-President: +99593 348377; +99532 606969
Learned Secretary, Vice-President: +99593 554847; +99532 360755

25 Ilia Chavchavadze Str., Tbilisi, 0162, Georgia.
Tower of Colchis, Arc of Rustaveli, Poti, 4400, Georgia,
Tel: +995 393 40738


№ 1/1-17

„25" IX 2011

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ გიორგი მარგველაშვილს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს
ბატონ დავით უსუფაშვილს

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია, რომლის საპატიო პრეზიდენტი გახლავთ უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღმაშენებელი მთლიანად იწონებს და სრულიად იზიარებს არგუმენტირებულ დასკვნებს ჩვენი ქვეყნის – საქართველოს სახელწოდების თემასთან დაკავშირებით. რამეთუ ქართული სახელმწიფოებრიობის, ისტორია მართლაცდა იწყება კოლხეთის სამეფოს (ეგრისის სამეფოს) ეპოქით ძვ.წ.აღრიცხვის XVI-XV საუკუნეებში. სადღეისოდ დადგა დრო პრიორიტეტულად ვიზრუნოთ „საქართველოს", „ქართულის", ეროვნება „ქართველის" გადასარჩენად... ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნევთ მსოფლიოს ქვეყნების დიდი უმრავლესობის ანალოგიით ჩვენს სამშობლოს ეწოდოს - საქართველო - მსოფლიოს ყველა ენებზე, რათა „გაიხაროს ყოველმა ქართველმა".

გთხოვთ თქვენს მხარდაჭერის გადაწყვეტილებას.

პატივისცემით
ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი,
ეკონომიკის დოქტორი ნუგზარ ნადარაია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
APOLLON KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

# 07/14-1714 01 10 2014

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ - გამომცემელს

ბატონ ა. ბაბუხადიას.

ბატონო ანზორ

მივესალმებით და ვიზიარებთ, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „ საქართველო“.

პატივისცემით

რექტორი თ. კლ... თინათინ კლდიაშვილი

საქართველო, 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, ტელ: (+995 320) 2 936 959, ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 934 665
22, Griboedov str. 0108, Tbilisi, Georgia, tel : (+995 32) 2 936 959, tel/fax: (+995 32) 2 934 665, www.art.edu.ge

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი**

№ 683 “ 16 “ ოქტომბერი 2014 წ.

გაზეთ “თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელს
ბატონ ა.ბაბუხადიას

ბატონო ანზორ,

მივესალმებით და მხარს ვუჭერთ თქვენს წინადადებას, რომ ჩვენ ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს “საქართველო“. ამ პრობლემის გადაწყვეტა ჩვენი ქვეყნის მრავალ სპორტსმენს უცხოეთში გამოსვლისას მოუხსნის გარკვეულ გაუგებრობებს და, რაც მთავარია, ღირსეულად გაჟღერდება ჩვენი სათაყვანებელი სიტყვა “საქართველო“.

პატივისცემით,

ნინო სალუქვაძე
ოლიმპიური თამაშების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი,
ოლიმპიური თამაშების 7-გზის მონაწილე,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური
კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი

თბილისი 0105, მაჩაბელის ქ. №11
ტელ.: (+995 32) 251 00 57; (+995 32) 251 00 58
ფაქსი: (+995 32) 293 43 42
E-mail: geonoc@access.sanet.ge

რუსთაველის საზოგადოება

RUSTAVELI SOCIETY

საქართველო. თბილისი ყიფშიძის ქ. 7
7 Kipshidze st. Tbilisi, Georgia
ტელ. Tel. 247 – 53 – 93 .593-98-16-77.

№36 13 ნოემბერიი. 2014

გავეცანით აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის მოსაზრებას გაზეთი („საქართველოს რესპუბლიკა".№162-163. 15 აგვისტო. 2014 წელი.) რომლითაც ის მხარს უჭერს ბატონ ანზორ ბაბუხადიას წინადადებას, რომ საქართველოს სახელმწიფოს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ენაზე ეწოდოს საქართველოს კონსტიტუციით – მუხლი 1.(3) განსაზღვრული სახელი: „საქართველო". ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ეს იდეა მისაღებია, ალბათ, საქართველოს გულშემატკივარ ჩვენს სახელმწიფოში მცხოვრები ყველა მოქალაქისათვის.

ეთხოვოს საქართველოს ხელისუფლებას, დღეს არსებული რესურსებიდან გამომდინარე, მიმართოს მთელი ძალისხმევა ყველა იმ ფინანსური და ტექნიკური პრობლემის გადასაჭრელად, რაც ამ საკითხის დადებითად გადასაწყვეტად არის საჭირო.

**სრულიად საქართველოს**
**რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი:** /დავით შემოქმედელი/

# საერთაშორისო საზოგადოება «სტალინი»

INTERNATIONAL SOCIETY "STALINI"

МЕЖДУНАРОДНОЕ ОБЩЕСТВО „СТАЛИН“



SOCIETE INTERNATIONAL "STALINI"

DIE INTERNATIONALE GESELLSCHAFT "STALINI"

№ 176 „23“ „ოქტომბერი“ 199

საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ჯგუფის ხელმძღვანელს

ბატონ ანზორ ბაბუხადიას

საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ პრეზიდიუმი, სრულ მხარდაჭერას უცხადებს, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ჯგუფს და პირადად მის შემოქმედსა და ორგანიზატორს ბატონ ანზორ ბაბუხადიას, რათა ჩვენს ქვეყანას ეწოდოს, მისი ისტორიული და ეთნოსის გამომხატველი სახელწოდება „საქართველო“.

საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე

გრიგოლ ონიანი


თბილისი, ა.ცაგარელის ქ. №40 ტელ: 37-35-68
A.Tsagareli str 40, Tbilisi phone: 37-35-68
Tbilissi A.Zagareli Str. 40 tel: 37-35-68
rue A.Tsagareli 40, Tbilissi tel: 37-35-68
Тбилиси, ул. А.Цагарели №40 тел: 37-35-68

საზოგადოება "თბილისელი"
მის: ზ.ჟვანიას ქ.№7
ტელ:+99532 2922213

საზოგადოება თბილისელი გამოეხმაურა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 15 აგვისტოს გამოქვეყნებულ ბატონ ანზორ ბაბუხადიას ღია წერილს „საქართველო ყველგან საქართველოდ უნდა იწოდებოდეს!" საზოგადოების გამგეობა სრულად იზიარებს წერილის ავტორის პათოსს, რომ საქართველო ყველა ენაზე უნდა იხსენიებოდეს როგორც „საქართველო."

ბატონი ანზორ ბაბუხადია მიმართავს ქვეყნის პირველ პირს და ამბობს- საქართველოს მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე უნდა ეწოდოს თავისი კუთვნილი და ღირსეული საკუთარი სახელი „ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლო" და ისტორიას ჩაბარდეს მისი ისეთი სახელები როგორიცაა ---„გრუზია", „ჯორჯია"," ვრასტანი", „გურჯისტანი" და სხვა. ბატონი ანზორი მოითხოვს, რომ პრემიერ- მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნას მუშა ჯგუფი , რომელიც მიაღწევს იმას, რომ ქვეყანას ეწოდოს თავისი ღირსეული სახელი.

საზოგადოება თბილისელი მხარს უჭერს ბატონ ანზორ ბაბუხადიას და მზად არის თავისი წარმომადგენელი მიავლინოს მუშა ჯგუფში. იმედი გვაქვს, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება.

საზოგადოება

თბილისელის თავმჯდომარე

ირაკლი მეძმარიაშვილი

# მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემია

## Writers, artists and scientists the National Academy

4 st. Grishashvili KUTAISI,  TEL: +995  558 499449


ა.წ. გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკის“ 2 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა ბატონ ანზორ ბაბუხადიას წერილი ,,სხვა საქართველო სად არის?! ანუ რა უნდა ეწოდოს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ყველა ენაზე“.

წერილის ავტორი მართებულად ითხოვს ,რომ საქართველოს მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს ,,საქართველო“ და ისტორიას ჩაბარდეს მისი უკანონო სახელები,როგორიცაა,,გრუზია“,,,გურჯისტანი“, ,,ჯორჯია“, დ.ა.შ.

მართებილად მიგვაჩნია ეს მოთხოვნა და მხარს ვუჭერთ ანზორ ბაბუხადიას ამ წინადადებას.

ეს უძველესი ქვეყანა ,დიახაც იმსახურებს მსოფლიოს წინაშე წარსდგეს მისი ღირსეული სახელით.

ვფიქრობთ ქართველი მოსახლეობის სურვილიც და ოცნებაც სამართლიანი გადაწყვეტილებით აღსრულებული იქნება და ფრთებს შეისხამს.

პატივისცემით : თეიმურაზ ლანჩავა

საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა

ეროვნული აკადემიისა და

საზოგადოება ,,ქუთაისელის “‘ პრეზიდენტი.

საქართველოს მწერალთა კავშირის

იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავჯდომარე

საზოგადოება „ზუგდიდელი“

Sosiety “Zugdideli”

2100, ზუგდიდი. რუსთაველის 87. (8415) 25-29-72 577 40 09 08 568 49 20 55
90, rustaveli st. zugdidi 2100. Tel: (8415) 25-29-72; 577 40 09 08 568 49 20 55;

№ 13 „24“ სექტემბერი 2014 წელი

ბატონო ანზორ,

გავეცანით გაზეთების: „თანადგომაში“, „საქართველოს რესპუბლიკაში“ და „საქართველო და მსოფლიოში“ სხვადასხვა დროს თქვენ მიერ გამოქვეყნებულ წერილებს საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია ჩვენ წელთაღრიცხვამდე „ეგრისისა “ და „იბერიის“ სამეფოების გაერთიანებით შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო და მას ეწოდა „საქართველო“, მაგრამ სამწუხაროდ ეს სახელწოდება მარტო საქართველოში დამკვიდრდა სხვაგან კი იგი იწოდება „ჯორჯიად“, „გრუზიად“, „გურჯისტანად“, და ა.შ რაც გაუმართლებელია.

საზოგადოება „ზუგდიდელი“ მიესალმება თქვენს ინიციატივას და მხარს უჭერს საქართველოს სახელმწიფოს, მსოფილო მასშტაბითაც, ეწოდოს ერთი სახელი „ საქართველო“

საზოგადოება „ზუგდიდელის“

თავმჯდომარე:

ოთარ ფაცაცია

# ქ. თბილისში ფოთელების საზოგადოება

(არასამთავრობო, არაკომერციული საზოგადოებრივი ორგანიზაცია)

## გამგეობა

03. 10. 2014 წ. ქ. თბილისი

გაზეთ "თანადგომის"
გამომცემელ-რედაქტორს
ბ-ნ ა. ბაბუხადიას

ბატონო ანზორ!

გარდა იმ საქმიანობისა, რაც გამოიხატება გაზეთ "თანადგომის" გამოცემით, ქვეყნის ინტელიგენციის ფენებში მეტად მაღალ დონეზე რომ ფასდება, ჩვენი ყურადღება ამ ბოლო თვეებში მიიპყრო თქვენი ავტორობით პრესის სხვადასხვა წყაროებში გამოთქმულმა მოსაზრებამ სახელმწიფოს დასახელების "საქართველო"-ს საერთაშორისო არენაზე საყოველთაო ხმარების შესახებ. კერძოდ, მისი შემოღების მიღწევის სურვილმა ყველა უცხო ენაზე, რამეთუ დასახელება არ ითარგმნება.

"ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების" გამგეობა ერთსულოვნად უჭერს მხარს ამ ინიციატივას, მიაჩნიათ მისი მიღწევა ისტორიული სამართლიანობისა და საერთაშორისო კულტურის შესატყვისია.

ამავე დროს ვთვლით მიზანშეწონილად ამ საკითხის განხილვა შეტანილი იქნეს საქართველოს პარლამენტის დონეზე.

პატივისცემითა და მხარდაჭერის გამოხატვით,

საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე,

სპ. გოგინავა

ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. 10; ტელ: +995 32-22-59-53; +995 93-32-22-68.

საერთაშორისო ასოციაცია
"საქართველოს ქალები მშვიდობისა და
სიცოცხლისათვის"

**International Association**
**Women of Georgia**
**for Peace and Life**

**N 23**

**10.09.2014 წ.**

საქართველოს პრეზიდენტს
**ბატონ გიორგი მარგველაშვილს**

საქართველოს პრემიერ მინისტრს
**ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
**ბატონ დავით უსუფაშვილს**

გაზეთ "თანადგომის" რედაქტორს
**ბატონ ანზორ ბაბუხადიას**

გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორს
**ბატონ ალეკო ასლანიშვილს**

საერთაშორისო ასოციაცია "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" თავისი არსებობის 23 წლის მანძილზე ფართომასშტაბიან საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ პროექტებთან ერთად მრავალ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებას ახორციელებს. ასოციაციის მრავალრიცხოვან წევრთა შორის უმრავლესობას წარმოადგენენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების დარგის მუშაკები, ჟურნალისტები, იურისტები, პედაგოგები.

ასოციაციის ხელმძღვანელთა და წევრთა ყურადღება მიიპყრო საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, "დედა ენის" საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლის, გაზეთ "თანადგომის" რედაქტორ-გამომცემლის ბატონ ანზორ ბაბუხადიას ავტორობით "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულმა ღია წერილებმა, რომლებშიც იგი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ აუცილებელია მოგვარდეს ჩვენი სამშობლოს ისტორიული სახელის - "საქართველოს" მოხსენიება ყველა ენაზე და ყველა ქვეყანაში, როგორც "საქართველო" და არა _ "გრუზია", "ჯორჯია" და სხვა.

მიგვაჩნია, რომ საკითხი მეტად დროული, აქტუალური და საყურადღებოა, განსაკუთრებით, ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მიესალმება აღნიშნულ მოსაზრებას.

ასოციაცია ერთსულოვნად უჭერს მხარს ბატონ ანზორ ბაბუხადიას მიერ გამჟღავნებულ პოზიციას და მოგმართავთ თხოვნით, უმოკლეს ვადაში განიხილოთ ეს საკითხი.

ვიმედოვნებთ, მოლოდინს არ გაგვიცრუებთ და თქვენი გადაწყვეტილების შესახებ ამცნობთ სრულიად საქართველოს მოსახლეობას.

პატივისცემით,

მაია კვეზერელი-კოპაძე
თავმჯდომარე

ნელი გურგენიძე
თანათავმჯდომარე

№ 18110 17.09.2014

საქართველო, თბილისი 0105
თამარაშვილის ქ. 1
ტელ/ფაქსი: + 99532 299 68 40;
ელ-ფოსტა:
www.georgianwomen.org.ge

7 Tamarashvili Str., 0105
Tbilisi, Georgia
Tel: Fax: 99532 299 68 40
e-Mail:
www.georgianwomen.org.ge

გვეხმაურებიან

# „გრუზია“, „ჯორჯია“ თუ „საქართველო“?

**საქართველოს პრეზიდენტს ბატონ
გიორგი მარგველაშვილს
საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ
ირაკლი ღარიბაშვილს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ
დავით უსუფაშვილს**

**საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავისი არსებობის 23 წლის მანძილზე ფართომასშტაბიან საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ პროექტთან ერთად მრავალ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებას ახორციელებს.**

ასოციაციის ხელმძღვანელთა და წევრთა ყურადღება მიიპყრო საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, „დედაენის“ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლის, გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემლის ბატონ ანზორ ბაბუხადიას ავტორობით „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულმა ღია წერილებმა, რომლებშიც იგი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ აუცილებელია მოგვარდეს ჩვენი სამშობლოს ისტორიული სახელის – „საქართველოს“ მოხსენიება ყველა ენაზე და ყველა ქვეყანაში, როგორც „საქართველო“ და არა – „გრუზია“, „ჯორჯია“, „გურჯისტანი“, „ვრასტანი“ და ა. შ.

მიგვაჩნია, რომ საკითხი მეტად დროული და საყურადღებოა, განსაკუთრებით ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ასოციაცია ერთსულოვნად უჭერს მხარს ბატონ ანზორ ბაბუხადიას წინადადებას.

მოგმართავთ თხოვნით, ყურად ილოთ ეს პატრიოტული მოსაზრება.

პატივისცემით,
ასოციაციის თავმჯდომარე
**მაია კვეზერელი-კოპაძე,**
თანათავმჯდომარე
**ნელი გურგენიძე.**

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი
0102 თბილისი
დ.აღმაშენებლის გამზ. №123
ტელ: 954164, 959513

CREATIVE UNION OF GEORGIAN COMPOSERS'
123 D.Agmashenebeli ave.,
0102, Tbilisi, Georgia
Tel: 995 (32) 954164, 995 (32)959513

№ 41 09.09.2014

ბატონ ანზორ ბაბუხადიას

ბატონო ანზორ,

გავეცანით თქვენს მიერ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს საქართველოს საერთაშორისო სახელწოდებასთან დაკავშირებით.

სრულად ვიზიარებთ თქვენს მოსაზრებასა და დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი.

ვეთანხმებით თქვენს წინადადებას, რომ მსოფლიოს ყველა ენაზე ჩვენს ქვეყანას ეწოდოს „საქართველო“.

პატივისცემით,

საქართველოს კომპოზიტორთა
შემოქმედებით კავშირის
თავმჯდომარე კახა ცაბაძე

შემოქმედებითი კავშირი

**საქართველოს თეატრალური საზოგადოება**

0105, თბილისი, ლეონიძის 11-ა, ტელ. 2998085, 2936755, 298694, 2999643
TEATRIKAVSHIRI@YAHOO.COM TEATRIDACXOVREBA@GMAIL.COM

№ 55 „22" 10 201

**გაზეთ „თანადგომის" რედაქტორ-გამომცემელს**

**ბ-ნ ა. ბაბუხადიას**

ბატონო ანზორ,

მივესალმებით და მხარს ვუჭერთ წინადადებას, რომ ჩვენ ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „**საქართველო**".

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა საქართველოს პარლამენტის პრეროგატივაა და აქედან გამომდინარე, სათანადო რეგლამენტის დაცვით, აუცილებელია მიმართოთ საქართველოს პარლამენტს.

პატივისცემით:

**გ. ქავთარაძე**

საქართველოს ქორეოგრაფიის
მოღვაწეთა შემოქმედებითი
კავშირი

საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. №26,
ტელ-ფაქსი: +99532 354841
Mob: 593148326; 599587809; 599907565; 599190710
E-mail: choreographers_union@yahoo.com;
choreographers_union@mail.ru; qor.org@posta.ge;
Facebook- საქართველოს ქორეოგრაფია

CREATIVE UNION OF THE
CHOREOGRAPHERS
OF GEORGIA

26 Ts. Dadiani Street, Tbilisi; Georgia.
Tel-Faxs. +99532 354841
Mob: 593148326; 599587809; 599907565; 599190710
E-mail: choreographers_union@yahoo.com;
choreographers_union@mail.ru; qor.org@posta.ge;
Facebook- Choreography of Georgia

# 294 / 01

„19" 09 2014 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი მხარს უჭერს საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, „დედა ენის" საზოგადოების ერთერთი დამფუძნებლის , ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატის, საქართველოს ეროვნული გმირის- ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის დარბაზის წევრის ბატონ ანზორ ბაბუხადიას წინადადებას, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს და მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაზე საქართველოს ეწოდოს „საქართველო"და არა „გურჯისტანი", ჯორჯია", „გრუზია"... როგორც ეს საუკუნეების მანძილზე იწოდებოდა.

ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი წარმატებული ისტორიული წარსული ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ საქართველოს მსოფლიოს ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო".

ჩვენი კავშირი მიესალმება იმ ფაქტს, რომ იაპონიის სახელმწიფომ ოფიციალურად პირველმა მოიხსენია საქართველო როგორც „საქართველო" და ვიმედოვნებთ რომ ეს საკითხი ჩვენი ქვეყნის მთავრობის დაინტერესებითა და ძალისხმევით დროულად მოგვარდება.

ლაუზი(რეზო) ჭანიშვილი
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი

ომარ მხეიძე
კავშირის საპატიო თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არტისტი

ფრიდონ სულაბერიძე
კავშირის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არტისტი

ჯემალ ჭკუასელი, ანზორ ერქომაიშვილი, იამზე დოლაბერიძე, ნინო კირვალიძე, რევაზ ჭოხონელიძე, თენგიზ უთმელიძე, ოლეგ ალავიძე, უჩა დვალიშვილი, იური ტორაძე, ნუგზარ ჯიქური, ზაურ ლაზიშვილი, ომარ ხუბაევი, ჰამლეტ კობეშავიძე, ჯემალ რეხვიაშვილი, გოგი ჩაჩავა, მურმან გამისონია, თამაზ კიკალიშვილი, თამაზ მოსია, ალექსანდრე ქართველიშვილი, ზაალ ჭუმბურიძე, კახაბერ მარკოიშვილი, გოჩა გრძელიშვილი, ტარიელ გოგობერიშვილი, თენგიზ ჯავახიშვილი, ნოდარ აბულაძე, მელისი ნადირიძე, შალვა გოგუაძე, ოთარ მიქელაძე, გენო ჭელიძე, ახმედ ამბალია, გიგლა თურქია.

აღნიშნულ პიროვნებათა ხელმოწერას ვადასტურებ

ლაუზი (რეზო) ჭანიშვილი

კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი

საქართველოს მხატვართა კავშირი

Georgian Artists Union

www.geoart.ge

№ 107

„03.11" 2014 წ.

გაზეთ "თანადგომის" რედაქტორს-გამომცემელს

ბატონ ა. ბაბუხადიას

ბატონო ანზორ!

საქართველოს მხატვართა კავშირი მხარს უჭერს თქვენ ინიციატივას, რომ ჩვენ ქვეყანას, მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე, ეწოდოს საქართველოს კონსტიტუციით დაკანონებული სახელწოდება "საქართველო", იმ უმნიშვნელოვანესი, საყოველთაო აღიარებული წესის შესაბამისად, რომ საკუთარი სახელის თარგმნა არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, მომავალში ჩვენი ქვეყანა აღარ უნდა იწოდებოდეს როგორც "ჯორჯია", "გრუზია", "გურჯისტანი" და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტმა უნდა იმსჯელოს და მიიღოს სათანადო ადექვატური გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე,
მხატვარი-აკადემიკოსი /ც. მჭედლიძე/

0177 საქართველო თბილისი კ. ქუთათელაძის ქ. №6 ელ.ფოსტა contact@geoart.ge ტელ: 790398962, 2236557

Georgia Tbilisi K. kutateladze street # 6 E-mail: contact@geoart.ge Tel: 7 90398962, (995 32) 2 236 557

# საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

**Georgian Union of Architects**
UIA National Section

89/24 David Agmashenebeli ave. 0102 Tbilisi, Georgia. T (995 32) 2910116 Fax: (995 32) 959987 E-mail: archunion_geo@yahoo.com

**International union of Architects**

**Member countries**

Afghanistan
Albania
Andorra
Angola
Argentina
Armenia
Australia
Austria
Azerbaijan
Aahamas
Baltic countries
Bangladesh
Barbados
Belarus
Belgium
Belize
Benin
Bhutan
Bolivia
Bosnia & herzegovina
Brazil
Brunei Darussalam
Bulgaria
Burkina Faso
Cameroon
Canada
Cape Verde
Central African Republic
Chad
Chile
China
Chinese Taipei
Colombia
Congo (Democratic Republic of)
Congo (Republic of)
Costa Rica
Croatia
Cuba
Cyprus
Czech Republich
Cote d'ivoire
Denmark
Ecuador
Egypt
Estonia
Ethiopia
FYR of Macedonia
Fiji
Finland
France
Gabon
Georgia
Germany
Ghana
Greece
Haiti
Honduras
Hong Kong
Hungary
India
Indonesia
Iran (Islamic Republic of)
Ireland
Island
Israel
Italy
Jamaica
Japan
Kazakhstan
Kenya
Korea (Democratic People's Republic of)
Korea (Republic of)
Kosovo
Kuwait
Kyrghystan
Lao people's Democratic Republic
Latvia
Lebanon
Lithuania
Luxembourg
Macao
Malawi
Malaysia
Mali
Malta
Mauritania
Mauritius
Mexico
Mongolia
Morocco
Namibia
Netherlands
Netherlands Antilles
New Zealand
Niger
Nigeria
Nordic Countries
Norway
Pakistan
Palestine
Philippines
Poland
Portugal
Puerto Rico
Perou
Romania
Russia (Federacion of)
Rwanda
Sao Tome and Principe
Saudi Arabia
Senegal
Serbia
Sierra Leone
Singapore
Slovak Republic
Slovenia
South Africa
Spain
Sri Lanka
Sudan
Suriname
Sweeden
Switzerland
Syrian Arab Republic
Tajikistan
Tanzania (The United Republic of)
Thailand
Trinidad & Tobago
Tunisia
Turkey
Uganda
Ukraine
United Arab Emirates
United Kingdom
United States
Uruguay
Uzbekistan
Venezuela
Viet Nam
Zambia

№ 50

11 სექტემბერი 2014

გაზეთ „თანადგომა“-ს რედაქტორ-გამომცემელს,
საზოგადოება „დედაენა“-ს თანადამფუძნებელს,
ღირსების ორდენის კავალერს,
საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს
ბ-ნ ა.ბაბუხადიას

ბატონო ანზორ!

გავეცანი თქვენს მიერ მოწოდებულ პუბლიკაციათა კრებულს პრესაში და მადლობას მოგახსენებთ ამისათვის.

სრულად ვიზიარებ რა საკითხის ამდაგვარ დასმას, ამავე დროს ვაცნობიერებ უაღრესად რთულ, სხვადასხვა სახის დაბრკოლებებით სავსე გზას, რომელიც გასავლელია მოცემული მიზნის მისაღწევად. მას, ჩემი აზრით, მრავალი წლის, თუ არა თაობის, თანმიმდევრული ძალისხმევა დასჭირდება სხვადასხვა მიმართულებით.

გისურვებთ წარმატებას და მიგულეთ ერთგულ თანამოაზრედ.

პატივისცემით,

დავით აბულაძე

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე,
არქიტექტურის დოქტორი

**Georgian Union of Architects**
0102 Tbilisi, Georgia.
89/24 David Agmashenebeli ave
e-mail: archunion_geo@yahoo.com
e-mail: Devidabuladze@yahoo.com
tel : +995 32 291 01 16 web: www.archunion.ge

51,rue Raynouard 75016 Paris (France)



# საქართველოს მწერალთა კავშირი

## ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაცია "რუსთაველი"

ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი №9 ტელ: 22 37 77.

გაზეთ "თანადგომის" მთავარ
რედაქტორ - გამომცემელს ბატონ ანზორ ბაბუხადიას.

ბატონო რედაქტორო, თქვენ, როგორც ღირსეულ მამულიშვილს ეკადრება და ევალება არაერთი ღირებული საქვეყნო საქმე გიკეთებიათ. ამჟამად ჩვენი ყურადღება მიიპყრო საქართველოსათვის, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ერთი და ღირსეული სახელის დარქმევის პრობლემამ რაც უდაოდ ყურადსაღებია.

თქმა არ უნდა, ყველა ქვეყანას თავის ენაზე ნამეტყველები სახელი უნდა ერქვას და არა სხვების შერქმეული. ვიმედოვნებთ თქვენს ძალისხმევას შესაბამისი მხარდაჭერა მოყვება და სამართლიანობა აღსდგება.

პატივისცემით:

გივი ჯახუა, დავით კლდიაშვილი,
სერგეი მესხისა და მწერალთა კავშირის
პრემიების ლაურიატი. მწერალთა მსოფლიო
ასოციაციის წევრი

გივი ბესელია, მწერალი ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

ვალერიან გრძელიშვილი და რუსთავის საპატიო მოქალაქე

გაბო გოგსაძე საქართველოს დამსახურებული ინჟინერი

გიორგი ლობჟანიძე – რუსთავის შრომის ვეტერანი

მამუკა ჯანაშია შრომის ვეტერანი

გელა გრძელიშვილი ახალგაზრდა სპეციალისტი

25.09.2014

GSJA
GEORGIAN SPORTS JOURNALISTS ASSOCIATION
Founded in 1989

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
GEORGIAN SPORTS JOURNALISTS ASSOCIATION
სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის რეგიონალური ბიურო
International Sports Press Association Regional Bureau

AIPS
INTERNATIONAL SPORTS PRESS ASSOCIATION
Founded in 1924

#01-177
03.09.2014 წ.

გაზეთ „თანადგომის"
რედაქტორსა და გამომცემელს
ბატონ ანზორ ბაბუხადიას

ბატონო ანზორ!

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია მთლიანად მხარს უჭერს თქვენს საშურ ინიციატივას, ჩვენი ქვეყნისთვის ორგანული და ყველასგან გამორჩეული საკუთარი სახელი – საქართველო – ეწოდოს მსოფლიოს ყველა ენაზე.

გულწრფელი პატისიცემითა და საუკეთესო სურვილებით,

საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაციის
პრეზიდენტი გიორგი გორგოძე

თბილისი 0162, ილია ჭავჭავაძის 39ა
#39a Ilia Chavchavadze Ave. Tbilisi, 0162 Georgia
მობ: / Cell: +995 599 567 678
e-mail: geosportmedia@yahoo.com

საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვისა სამინისტრო
ს.ს.ი.პ. – დავით ბააზოვის
საქართველოს
ებრაელთა ისტორიის
მუზეუმი
0105. ქ. თბილისი,
ანტონ კათალიკოსის
ქ. N3 , ტ.: (+99532) 2 985992, (+995)
5 98922977, (+995) 5 99922843

המשרד לתרבות, הגנת
מורשת וספורט של גאורגיה
המוזיאון ההיסטורי של יהודי
גאורגיה ע"ש דוד באזוב
0105 העיר טביליסי
רח' אנטון קטליקוסי, 3
(+99532) 2 985992, (+995)
טל. 5 98922977, (+995) 5 99922843

**David Baazov Museum of History of Jews of Georgia, N 3 Anthon Catholicos str., Tbilisi 0105, Phone: (+99532) 2 985992, (+995) 5 98922977, (995) 5 999922843. E-Mail: museumjewish@yahoo.com; givigambashidze@yahoo.com**

---

11.11.2014 #93

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ - გამომცემელს

ბატონ ა. ბაბუხადიას

ბატონო ანზორ,

მივესალმებით თქვენს ეროვნულ ინიციატივას - რომ ჩვენ ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სახელწოდება - „საქართველო“.

პრობლემა ურთულესია, მაგრამ, საზოგადოების მხარდაჭერის პირობებში, ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება განიხილავს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

პატივისცემით:

ს.ს.ი.პ დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა

ისტორიის მუზეუმის დირექტორი

პროფ. გივი ღამბაშიძე

კავშირი "პროფესიული კალათბურთო კლუბი მაქაბი"

"PROFESSIONAL BASKETBALL CLUB MACCABI" UNION

თბილისი, 26 მაისის მოედანი 1, სპორტის სასახლე. ტელ.: 93 68 29, ფაქსი: 93 68 29
1, 26 May Sq., Sport Palace, Tbilisi, Georgia. Tel.: (+995 32) 936829, Fax: (+995 32) 93 68 29

ბატონ ანზორ ბაბუხადიას

საქართველოს ებრაელთა კონგრესისა და „მაქაბის" საზოგადოების სახელით მივესალმებით თქვენს ინიციატივას იმის თაობაზე, რომ ჩვენ ქვეყანას მსოფლიო ხალხის ყველა ენაზე ეწოდოს საქართველოს კონსტიტუციით დაკანონებული სახელწოდება „საქართველო".

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის
თანათავმჯდომარე
„მაქაბის" პრეზიდენტი
საპატიო თბილისელი
ბრწყინვალების ორდენის კავალერი
ჯამლეტ ხუხაშვილი

10.11-2014წ.

საქართველოს
ვეტერან მოჭიდავეთა
კავშირი

The Veteran Wresling
Union of Georgia

თბილისი, 0112, წერეთლის გამზ. 2
ტელ.: (995 32) 95 62 06; (995 32) 95 4386
ფაქსი: (995 32) 95 62 06; (995 32) 95 05 49

2, Tsereteli ave. 0112 Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 95 62 06; (995 32) 95 43 86
Fax: (995 32) 95 62 06; (995 32) 95 05 49

№ 1

5 08 2014 წ.

ჩვენ, ტიტულოვანი ვეტერანი მოჭიდავეები გავეცანით გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკა"-ში, ღირსების ორდენის, გაზეთ "თანადგომა" რედაქტორ-გამომცემლის ბატონ ანზორ ბაბუხადიას ღია წერილს სათაურით: "სხვა საქართველო სად არის"?!

წერილის ავტორი უდიდესი პათოსითა და სიყვარულით ეყრდნობა რა ქვეყნის უძველესი ისტორიის უტყუარ ცნობებს, სადაც საქართველო მოხსენიებულია ("იბერია, ეგრისი, კოლხეთი")-ად.

ასევე გავეცანით საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის დარბაზის განცხადებას, რომლის წევრიც ავტორი ბრძანდება სხვა დანარჩენ გამოჩენილ სხვა და სხვა დარგის წარმომადგენლებთან ერთად, რომელშიც გამოხატავენ ერთიან აზრს, რომ ჩვენს ქვეყანას ერთხელ და სამუდამოდ, ნებისმიერ ენაზე ეწოდოს: "საქართველო"!

ბუნებრივია, ყოველი სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველი და მათ შორის ჩვენც ვეტერანი მოჭიდავეები ვაცხადებთ სრულ თანადგომას ამ პატრიოტული და ღირსეული საკითხის მოგვარებასა და გადაწყვეტაში. რომელიც უდიდეს სიკეთეს და სარგებლობას მოუტანს ჩვენს ღირსეულ მომავალ თაობებს.

ვეტერან მოჭიდავეთა სახელით
კავშირის თავმჯდომარე,
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ.საღარაძე

ომის, შეიარაღებული ძალების და კონფლიქტების ვეტერანთა კავშირი
**„ვეტერანები მშვიდობისათვის"**
საქართველო, თბილისი, 0105, ლესელიძის ქ. №4 ტელ.: (+995 32) 2938952;

WAR, ARMED FORCES AND CONFLICTS VETERANS UNION
**" VETERANS FOR PEACE"**
#4 Leselidze str., 0105, Tbilisi, Georgia
Phone: (+995 32) 2938952;
e-mail: info@geovets.ge; geovets@gmail.com

№ 01/18 24.10.2014

გაზეთ „თანადგომის" რედაქტორ გამომცემელს
ბატონ ანზორ ბაბუხადიას.

ბატონო ანზორ
მივესალმებით და მხარს ვუჭერთ თქვენს ახალ ინიციატივას, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო", რაც ცხადია მოხსნის ბევრ გაუგებრობას ჩვენი მისამართით „ჯორჯიას", „გეორგიას", „გრუზიას", „გურჯისტანს" და სხვა სახელების გამოყენებისას.

ჩვენი ქვეყნის სახელი კონსტიტუციითაა დადგენილი, მისი თარგმნა ან სხვა ფორმით გამოყენება გაუმართლებელია.

გვიგულეთ თქვენს გვერდით.

პატივისცემით, გამგეობის თავმჯდომარე

ზაალ სიხარულიძე.

ერთსულოვნება
საზოგადოების უფლებებისათვის

UNANIMITY
FOR PUBLIC RIGHTS

გაზეთ „თანადგომის" რედაქტორ-გამომცემელს
ბატონ ა. ბაბუხადიას

ბატონო ანზორ,

მივესალმებით თქვენს დიდ ეროვნულ ინიციატივას და მხარს გიჭერთ, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო" და ისტორიას ჩაბარდეს მისი არაკონსტიტუციური სახელწოდებები: „გრუზია", „ჯორჯია", „გურჯისტანი", „ვრასტანი" და ...

გვიგულეთ თქვენს გვერდი.

პატივისცემით

თავმჯდომარე მიხეილ ანდღულაძე

ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის UNANIMITY FOR PUBLIC RIGHTS 404934010

საქართველო, თბილისი, მცხეთის 28, ტელ: 577 414241; 591 614141; ოფისი - 294-55-42;
ersaufle@yahoo.com www.ersaufle.ge

საერთაშორისო ორგანიზაცია
**სახალხო დიპლომატია**

International Organization
**PUBLIC DIPLOMACY**

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელს

ბატონ ა. ბაბუხადიას

ბატონო ანზორ,

მივესალმებით თქვენს დიდ ეროვნულ ინიციატივას და მხარს გიჭერთ, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“ და ისტორიას ჩაბარდეს მისი არაკონსტიტუციური სახელწოდებები: „გრუზია“, „ჯორჯია“, „გურჯისტანი“, „ვრასტანი“ და ...

გვიგულეთ თქვენს გვერდით.

პატივისცემით

საერთაშორისო ორგანიზაცია

„სახალხო დიპლომატიის“

პრეზიდენტი ნინო ანდრონიკაშვილი

0108, საქართველო, თბილისი, გრიბოედოვის N23
ტელ: 032 2 143 975 ელ. ფოსტა publicdiplomacy.ge@gmial.com

**გაზეთ "თანადგომის" რედაქტორ-გამომცემლის**
**ბატონ ა. ბაბუხადიას**

ბატონო ანზორ!

მოგესალმებით იურისტთა ჯგუფი: ზურაბ ჯორჯიკია, თამაზ დარჩიაშვილი, ზაურ ჯალაღონია, ირაკლი ჩიკვაიძე და ვლადიმერ ტაბაღუა, რომლებიც ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ თქვენს უსერიოზულეს ინიციატივას, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს საქართველოს კონსტიტუციით დაკანონებული სახელწოდება "საქართველო" - იმ უმნიშვნელოვანესი, საყოველთაოდ აღიარებული წესის შესაბამისად, რომ საკუთარი სახელის თარგმნა არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, მომავალში ჩვენი ქვეყანა აღარ უნდა იწოდებოდეს, როგორც: "ჯორჯია", " გრუზია", "გურჯისტანი" და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა უნდა იმსჯელოს და მიიღოს სათანადო, ადექვატური გადაწყვეტილება.

გვიგულეთ თქვენს გვერდით

პატივისცემით:

**/ზ. ჯორჯიკია /**

**/თ. დარჩიაშვილი /**

**/ზ.ჯალაღონია /**

**/ი. ჩიკვაიძე /**

**/ვ. ტაბაღუა /**

## საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის განცხადება

1998 წელს დაარსებული და დღემდე აქტიურად მებრძოლი (1998-2014 წლებში ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული გვაქვს 500-ზე მეტი პუბლიკაცია!) საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაცია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი გახლავთ საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი ანზორ ბაბუხადია, მხარს უჭერს მის მიერ 2013 წლის 2 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გაკეთებულ განცხადებას, რომ საქართველოს მსოფლიოს ყველა ენაზე ეწოდოს, მხოლოდ „საქართველო". სამწუხაროა, რომ გასული ერთი წლის განმავლობაში ამ უაღრესად პატრიოტულ ინიციატივას არ გამოეხმაურა საქართველოს ხელისუფლება. სასიამოვნო კი ის არის, რომ ეს წინადადება უცხოელ ქვეყნებს შორის პირველმა მიიღო იაპონიამ, როცა ოფიციალურ სახელწიფოებრივ წერილში საქართველო უკვე მოიხსენია „საქართველოდ".

ერთი მილიონი მცირე მეწარმეთა სახელით, ვთხოვთ ხელისუფლებას დააჩქაროს და ბოლომდე მიიყვანოს ბატონი ანზორ ბაბუხადიას ეს ნამდვილად ისტორიული ღირებულების პატრიოტული ინიციატივა.

ანზორ საკანდელიძე

საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოაციაციის

თავმჯდომარე, ყოფილი პარლამენტარი, ტექნ. მეცნ. დოქტორი

9.09.2014

**„საშენი მასალები და მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ასოციაციის**

**განცხადება**

„საშენი მასალები და მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ასოციაცია მხარს უჭერს 2013 წლის 2 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის ანზორ ბაბუხადიას უდაოდ პატრიოტულ ინიციატივას, რომ საქართველოს მსოფლიოს ყველა ენაზე ეწოდოს ერთი სახელი „საქართველო“ და ეს აისახოს ყველა სახის სახელმწიფოებრივ დოკუმენტაციაში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. მისასალამებელია, რომ უცხოელ სახელმწიფოთა შორის პირველმა ეს უკვე გააკეთა იაპონიამ.

მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, რაც შეიძლება სწრაფად დააკანონოს ბატონი ანზორ ბაბუხადიას ეს უდაოდ პატრიოტული და აუცილებელი ინიციატივა.

რ. ცხვედაძე **რევაზ ცხვედაძე**

**„საშენი მასალები და მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე, ტ.მ.დ., პროფესორი**

10.09.2014

# სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა
# დარბაზი

თბილისი, ელიას მთა, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

№1

12 11 2014 წ.

გაზეთ ,,თანადგომის" რედაქტორს

ბატონ ანზორ ბაბუხადიას

მივესალმებით თქვენს ინიციატივას, რომ ჩვენ ქვეყანას მსოფლიოს ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს ,,საქართველო" რაც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით.

დარბაზის საბჭოს
თავმჯდომარე ლ. ფრუიძე

**ბერიძეთა საგვარეულო დარბაზი**

**THE BERIDZE FAMILY COUNCIL**

თბილისი, 0108, კოსტავას ქ. №6, II სართული, ტელ: 99 96 56; მობ: 899 33 53 60
6 Kostava st., Tbilisi, 0108, Georgia. Tel: +99532 99 96 56; Mob: +99599 33 53 60. E-mail: vazha.beridze@yahoo.com

№ 3 „10" 10 2014 წ.

საქართველოს პატრიარქს

ბერიძეთა საგვარეულო დარბაზი სრულად იზიარებს ქვეყნის პატრიოტ ანზორ [illegible] და ერის ღირსეული შვილების პათოსს – ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზით „საქართველოს" სახელით ჭადრაკის თამაშში. სამართლიანია, რომ დღემდე ეს სახელი ვერ [illegible] მათ, ვინც არ [illegible]. მიუღწევია ის სპორტსმენები, რომელთაც [illegible] გაახარეს ჩვენი ქვეყანას. პასუხისმგე-[illegible] ის სპორტსმენები, რომელნიც [illegible] ჩვენი ქვეყანას. [illegible] „[illegible]" ნონას „მაიკოს", [illegible] „[illegible]" [illegible] და [illegible]. [illegible] სპორტსმენები: „ჩიბურდანიძეები", „იოსელიანები", „ალექსანდრიას", „არახამიას" – რომელიც [illegible] ქვეყნისთვის და [illegible].

დიდი, ერთად და სამუდამოდ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მასშტაბით [illegible] საქართველოს.

ბერიძეთა საგვარეულო დარბაზის ეთნარქი

ვაჟა ბერიძე

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელს
ბ-ნ ანზორ ბაბუხადიას

ბატონო ანზორ,

ბევრჯერ დავფიქრებულვარ იმაზე, თუ რატომ უწოდებენ საქართველოს ამდენ განსხვავებულ სახელს სხვადასხვა რელიგიის და ეროვნების ხალხები. ერთი ამიხსნას ვინმემ, რატომ ვართ ჩვენ „გურჯისტანი“ და არა „საქართველო“, რატომ ვართ „გრუზია“ და არა „საქართველო“, რატომ ვართ „ვრასტანი“ და არა „საქართველო“ და რატომ ვართ „ჯორჯია“ და არა „საქართველო“.

ვფიქრობ, რომ ისტორიული სამართლიანობა აღდგება, თუ ჩვენ სამშობლოს მთელ მსოფლიოში უწოდებენ „საქართველოს“. იქ, სადაც ქართველები ოცდაათი საუკუნე ცხოვრობენ იმის ღირსნი არიან, რომ მათ ქვეყანას, სამშობლოს, „საქართველო“ ერქვას.

მე არ ვიცი არც ერთი განათლებული ქართველი, რომელიც თავის სამშობლოს რომელიმე აქ ჩამოთვლილი სახელით იხსენიებდეს.

იქნებ ვინმემ მოიგონოს რომელიმე მწერლის, ან პოეტის მიერ დაწერილი ლექსი ან მოთხრობა, სადაც საქართველო „გურჯისტანად“, „გრუზიად“, „ჯორჯიად“ ან „ვრასტანად“ მოიხსენიება.

ვეთანხმები ბატონ ანზორ ბაბუხადიას, რომ აღდგეს სრულიად საქართველოს ქართველთა დიდი ხნის ოცნება და ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ქვეყანას, აღვუდგინოთ ისტორიული სახელი „საქართველო“.

**ღრმა პატივისცემით**

**მაისურაძეების საგვარეულო საზოგადოების**

**ერთ-ერთი დამფუძნებელი** **ანზორ მაისურაძე**

**14 ოქტომბერი 2014 წელი**

საქართველო

ჩხეიძეების საგვარეულო სახლი

GEORGIA

CHKHEIDZE FAMILY HOUSE

საქართველო, თბილისი, ღამბაშიძის ქ. 9/2    9/2 Ghambashidze, Tbilisi, Georgia
Tel/Fax: +(995 32) 22 13 94    Mob : 8 99 15 60 96    8 99 71 17 35

№ 01 - 17    30 . ოქტომბერი 2014

### „საქართველო“ - ეროვნული იდენტობის საწინდარი

ბოლო წლებში ქართულ პრესასა თუ საზოგადოებრივ წრეებში სულ უფრო და უფრო აქტიურად მუსირებს და განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ჩვენი ქვეყნის სახელწოდების შეცვლის საკითხი საერთაშორისო დონეზე.

„ჩხეიძეების საგვარეულოს სახლის“ სახელით გვინდა გამოვეხმაუროთ და გავიზიაროთ ის შემართება რომელიც დააფიქსირა ჩოხოსან რაინდთა დასის წარმომადგენელმა ბატონმა ანზორ ბაბუხადიამ, ღია წერილით საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერმინისტრისა და იუსტიციის მინისტრის მიმართ „საქართველო ყველგან საქართველოდ უნდა იწერებოდეს!“

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი მრავალასპექტურია, პროფესიულ გააზრებასა და, რაც მთავარია, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მხრიდან აქტიურ ჩართულობას საჭიროებს, მიგვაჩნია, რომ დღეს საქართველოსთვის ამ საკითხის გადაჭრა მეტად საშური საქმე იქნებოდა.

ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარი თამამი გადაწყვეტილებები ხელს უწყობენ ქვეყნის სტატუსის ამაღლებას მსოფლიო არენაზე და, ასევე, განამტკიცებენ თავის ადგილს ცივილიზებული, განვითარებული ქვეყნების რიგებში, როგორც განსაკუთრებული ეროვნული ღირებულებებისა და იდენტობის მქონე ქვეყნისა.

ქართული ნაციონალური იდენტობა გამყარებულია და კიდევ უფრო უნდა გამყარდეს ქვეყნის სახელით - „საქართველო“.

თავმჯდომარე

ა. ჩხეიძე    ა. [signature]

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ გამომცემელს
ბატონ ანზორ ბაბუხადიას.

ბატონო ანზორ
მივესალმებით და მხარს ვუჭერთ თქვენს ახალ ინიციატივას, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო“, რაც ცხადია მოხსნის ბევრ გაუგებრობას ჩვენი მისამართით „ჯორჯიას“, „გეორგიას“, „გრუზიას“, „გურჯისტანს“ და სხვა სახელების გამოყენებისას.

ჩვენი ქვეყნის სახელი კონსტიტუციითაა დადგენილი, მისი თარგმნა ან სხვა ფორმით გამოყენება გაუმართლებელია.

გვიგულეთ თქვენს გვერდით.

პატივისცემით, სრულიად სიხარულიძეთა საგვარეულოს მედროშე:

ზაალ გიორგის ძე სიხარულიძე.

---

## გვარების საინიციატივო ჯგუფის სახელით ხელმოწერილი თანხმობები:

ზურაბ ანჯაფარიძე
მედეა ამირანაშვილი
გურამ ანდრონიკაშვილი
თორნიკე აფაქიძე
რევაზ ბალანჩივაძე
მერაბ ბერაძე
ნუგზარ გელოვანი
ფრიდონ გუნცაძე
გუჩა დათუნაიშვილი
ციცო ერისთავი
ზურაბ თურმანიძე
ფერდინანდ ლორთქიფანიძე
ომარ მარგველაშვილი
ვახტანგ მეუნარგია
მარინა მაჭავარიანი
ანზორ მესხიშვილი
გურამ საღარაძე
გოგი სარაჯიშვილი
რომან შაქარიშვილი
ლიანა შეწირული
გია ჭირაქაძე
თამრიკო ჭოხონელიძე

„დადგა დრო, პრემიერმინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნას საგანგებო კომპეტენტური სახელმწიფო კომისია, რომელიც სათანადო სამუშაოების ჩატარების კვალობაზე მიაღწევს, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო"!

საჯარო განხილვა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის დარბაზის



(მარცხნიდან) ანზორ ბაბუხადია, იაპონიის ელჩი საქართველოში კამოჰარა მეულლითურთ და გოგი დოლიძე სულხან საბა-ორბელიანის სახლ-მუზეუმში (სოფ. ტანძია, 4.10.2010)

# განცხადება

ჩოხოსან რაინდთა დასი მხარს უჭერს საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, „დედაენის" საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლის — ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატის, ჩვენი დასის დარბაზის წევრის, ბატონი ანზორ ბაბუხადიას წინადადებას, რომ ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფო დონეზე გადაწყდეს, — რა უნდა ეწოდებოდეს ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხთა ყველა ენაზე: „გრუზია", „ჯორჯია" და ა. შ. თუ „საქართველო", როგორც ეს უკვე ოფიციალურად დაადასტურა იაპონურმა მხარემ.

ამ მოსაზრების თაობაზე, მან ჯერ კიდევ 2013 წლის 2 აგვისტოს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მეშვეობით ღია წერილით მიმართა საქართველოს იმჟამინდელ პრემიერმინისტრს, ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ **დავით უსუფაშვილსა** და საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ **თეა წულუკიანს**.

წერილში აღნიშნულია, რომ **„დადგა დრო, პრემიერმინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნას საგანგებო კომპეტენტური სახელმწიფო კომისია, რომელიც სათანადო სამუშაოების ჩატარების კვალობაზე მიაღწევს, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო"!**

ჩვენდა სასიხარულოდ, ვიმეორებთ: ამ წინადადებას პირველი უკვე გამოეხმაურა იაპონიის სახელმწიფო, რომელმაც, საქართველოს ისტორიაში პირველმა, ოფიციალურ დოკუმენტში ჩვენი ქვეყანა მოიხსენია, როგორც **„საქართველო"**.

ეს ერთი და სხვა მრავალი!

**დასის დარბაზის სახელით:**

**გიორგი (გოგი) დოლიძე** — დასის მეთაური, პროფესორი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი;

**რეზო ჩხეიძე** — კინორეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი;

**ჯუმბერ ლეჟავა** — მსოფლიო მოგზაური, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი;

**მიხეილ ჯიბუტი** — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**თენგიზ უთმელიძე** — ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი;

**ნინო სალუქვაძე** — მსოფლიო ჩემპიონი ტყვიით სროლაში, ოლიმპიური ჩემპიონი;

**ოთარ ჯანგიშერაშვილი** — რუსეთის სახალხო არტისტი, კ. სტანისლავკის პრემიის ლაურეატი;

**ნაზი ნანიკაშვილი** — მსახიობი, ქ. აშდოდის (ისრაელი) ქართულენოვანი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი;

**ილია პატაშური** — საქართველოს დამსახურებული მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი;

**მურმან გელენიძე** — მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი;

**რევაზ ბალანჩივაძე** — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**ჯემალ კვანტალიანი** — სპორტის დამსახურებლი მოღვაწე;

**ივანე ჯაფარიძე** — ჟურნალისტი, პროფესორი.

## მაკა ასათიანის განცხადება



ტელეკომპანია „მაესტროს" ერთ-ერთმა მფლობელმა მაკა ასათიანმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ის ტელეკომპანია „მაესტროს" წილს ყიდის. „დღეს ერთ-ერთმა გაზეთმა გაავრცელა ინფორმაცია თითქოს მე ვყიდი „მაესტროს" წილს და რომ მყიდველი არის ქართველი ბიზნესმენი. ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ეს არ არის სიმართლე, არ იგეგმება წილის გაყიდვა და ეს საკითხი დღის წესრიგშიც არ დამდგარა. „მაესტროს" გუნდთან ერთად ვგეგმავთ უამრავ სიახლეს და ვემზადებით ახალი სეზონისთვის", — წერს მაკა ასათიანი.

# ანაკლიის პორტი უნდა აშენდეს, მაგრამ სად და როგორ?



**„საქართველო და მსოფლიოს" დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა, რომ ჩვენს გაზეთში სისტემატურად ქვეყნდება თვალსაჩინო მეცნიერების, პრაქტიკოსი სპეციალისტების სტატიები, რომლებიც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტიანად გაძლიერება-ამოქმედებისკენ.**

საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, როგორც საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია, არის ისტორიული „აბრეშუმის გზის" — აზია ევროპის სატრანსპორტო დერეფნის — თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღდგენა-განვითარება.

ამ კომპლექსური ამოცანის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია შავი ზღვის სანაპირო ზოლზე საზღვაო და მშრალი პორტების დაგეგმვა-აშენების საკითხები. მათ შორისაა ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობაც.

ვოლუნტარისტ სააკაშვილის პერიოდის დილეტანტურ-პიარული ნეოსტახანოვური მშენებლობის კამპანიის („რვა საუკუნის მანძილზე ასეთი მშენებლობა საქართველოში არ ყოფილა") მოძალებით ჭკუანასწავლი სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც საშუალება მიეცა, კომპეტენტური აზრი და რჩევა მიაწოდოს ახალ ხელისუფლებას, მაქსიმალური საჯაროობის პირობების დაცვით ამოქმედდა, ამას თუნდაც ჩვენი გაზეთის პუბლიკაციები მოწმობს.

**8 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში განიხილეს პრობლემები, რომლებიც ანაკლიაში პორტის მშენებლობას უკავშირდება.**

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოში უამრავი შესაძლებლობა და პერსპექტიული პროექტი არსებობს შავი ზღვის რესურსების ასათვისებლად. მაგრამ, ამასთან, სანაპირო ზონა დღევანდელ რეალობაში უზარმაზარ ანთროპოგენულ დატვირთვას განიცდის, განსაკუთრებით, ნავსადგურების მშენებლობისას, „რომელიც ხშირად დაკავშირებულია ზღვის ფართო აკვატორიის დაკავებასთან, მოლებისა (სპეციალური ჰიდროტექნიკური ნაგებობების) და ტალღასატეხების აგებასთან, რაც სანაპირო ზონის რეჟიმის დარღვევას იწვევს და ნეგატიურ შედეგებს იძლევა". ამ შედეგებიდან ყველაზე უფრო პრობლემური ძირითადი ნაპირების ნგრევა და დეგრადაციაა.

ყველა პროექტი დაკავშირებულია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ საკითხებთან, მოქმედებს მათ ყოველდღიურ ყოფასა თუ ცხოვრების ტრადიციულ წესზე, არცთუ იშვიათად, მკვეთრად უარყოფითი თვალსაზრისით. მაგალითად, სამეგრელოს დაბლობ ზონაში მდინარე ენგურის აუზში არც ერთმა ხელისუფლებამ, დაპირების მიუხედავად, დღემდე არ გაიყვანა არხი, რომლის არქონა უკიდურესად ართულებს იმ ზონაში მცხოვრებთა არსებობას.

ნავსადგურების მთავარი დანიშნულება ტვირთბრუნვის ზრდაზე ზრუნვაა. ეს თავისთავად. მაგრამ განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით მომავლის პორტებში მთავარი აქცენტი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაზე გაკეთდება, ეკონომიკური განვითარების ცენტრად უნდა იქცეს ისინი. სწორედ მაშინ იქნება დაკავშირებული სანავსადგურო მშენებლობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან.

ამ რთულ სამშენებლო პროგრამაში ჩართული არიან იაპონელი მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებიც საინტერესო წინადადებებს სთავაზობენ ქართველ კოლეგებს. მათი აზრით, გამოსაკვეთია ორი ოპტიმალური ლოკაცია — ანაკლიისა და სუფსის.

არსებობს მოსაზრება, რომ სოფელ განმუხურთან აიგოს პორტი, მაგრამ ამ წინადადების განხორციელებაზე ფიქრი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთთან მოგვარდება ურთიერთობა.

დადებით შედეგს მოიტანს ენგურისთვის ახალი კალაპოტის გაჭრა. ამით შეჩერდება მოლამვის ინტენსიურობა, გარანტირებული იქნება პორტისკენ მიმავალი არხის დაცვა. სპეციალისტების აზრით, ეს დაგვიცავს ყულევის არხის უარყოფითი მომენტის გამეორებისგან.

ხაზგასმით ითქვა, რომ ქართველი სპეციალისტების გამოცდილებისა და იაპონური ტექნოლოგიების სიმბიოზი მოგვცემს სასურველ შედეგს, მაგრამ საბოლოო დასკვნის გამოტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ საჭირო მოდელირების განხორციელების შემდეგ, რადგან ის არის უმაღლესი მსაჯული.

**აკადემიკოსმა ერეკლე გამყრელიძემ, მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსმა მდივანმა „საქართველო და მსოფლიოსთან" საუბარში განაცხადა, რომ განყოფილების გაფართოებულ სხდომას ესწრებოდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.**

— მოხსენება ანაკლიის პორტის მშენებლობის ადგილების ვარიანტების შესახებ, — თქვა მან, — წარმოადგინეს ამ საქმის პროფესიონალებმა ლომინაძემ და ძიძიკაშვილმა. მათ გაითვალისწინეს ადრინდელი კვლევების მასალები, რომლებიც თავის დროზე შეისწავლა და გააანალიზა აკადემიკოსმა არჩილ კიკნაძემ. მეცნიერის ეს კვლევები, რატომ ვერ გეტყვით, მაგრამ ძალიან მკვეთრად გააკრიტიკეს. არგუმენტები, რომლებიც მის წინააღმდეგ წარმოადგინეს, ჩემთვის სრულიად არასაკმარისი იყო, მით უმეტეს, რომ, ჯერ ერთი, კარგად ვიცნობდი ბატონ არჩილს, როგორც ბრწყინვალე პიროვნებას, ძალიან მაღალი კვალიფიკაციის, საერთაშორისო აღიარების მქონე სპეციალისტს. მეორეც იმიტომ, რომ მისი კვლევები უმაღლეს მეცნიერულ დონეზე იყო შესრულებული.

განხილვამ გვაჩვენა, რომ საკითხი გაცილებით რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, რადგან ბევრ ასპექტს მოიცავს. პორტის მშენებლობისთვის უნდა შეირჩეს ისეთი ადგილი, რომელიც ეკოლოგიურად უსაფრთხო იქნება, არ დასჭირდება დიდი რაოდენობით დამცავი ნაგებობების აშენება და ა. შ.

იყო ლაპარაკი ხელოვნურ არხზე, რომელიც დაცული იქნება მდინარეთა დანატანით შევსებისგან. ჩვენ წინ გვაქვს ყულევის არხის გაყვანის დროს დაშვებული უმძიმესი შეცდომები, რომელთა გამოც აუცილებელი ხდება არხის სისტემატური ამოწმენდა, ეს კი უდიდეს მატერიალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

გასათვალისწინებელი იქნება ისიც, რომ პორტი შეიძლება სრულად ვერ დაიტვირთოს. ცნობილია, რომ რკინიგზა იმდენად გამტარუნარიანი არ არის, რომ საჭირო რაოდენობის ტვირთი მიიტანოს სანაპიროსთან, ამიტომ საინტერესო ჩანს წინადადება ისეთი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის თაობაზე, რომლებიც ინოვაციური განვითარების შესაძლებლობას მოგვცემს, ე. ი. არა მხოლოდ გავიტანოთ ტვირთები პორტების მეშვეობით, არამედ მივცეთ მათ სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების პოლიგონების დატვირთვაც.

შევეცდებით, შევაჯამოთ დღევანდელი განხილვის შედეგები და ანალიტიკური მოხსენებით წარვდგეთ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე, განვიხილოთ და გარკვეული რეკომენდაციებით მივმართოთ ჩვენი ქვეყნის მთავრობას.

**არმაზ სანებლიძე**

# საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის დარბაზის განცხადება

ჩოხოსან რაინდთა დასი მხარს უჭერს საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, „დედაენის“ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლის — ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატის, ჩვენი დასის დარბაზის წევრის, ბატონი ანზორ ბაბუხადიას წინადადებას, რომ ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფო დონეზე გადაწყდეს, — რა უნდა ეწოდებოდეს ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხთა ყველა ენაზე: „გრუზია“, „ჯორჯია“ და ა. შ. თუ „საქართველო“, როგორც ეს უკვე ოფიციალურად დაადასტურა იაპონურმა მხარემ.

ამ მოსაზრების თაობაზე, მან ჯერ კიდევ 2013 წლის 2 აგვისტოს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით ღია წერილით მიმართა საქართველოს იმჟამინდელ პრემიერმინისტრს, ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ **დავით უსუფაშვილსა** და საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ **თეა წულუკიანს**.

წერილში აღნიშნულია, რომ **„დადგა დრო, პრემიერმინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნას საგანგებო კომპეტენტური სახელმწიფო კომისია, რომელიც სათანადო სამუშაოების ჩატარების კვალობაზე მიაღწევს, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო“!**

ჩვენდა სასიხარულოდ, ვიმეორებთ: ამ წინადადებას პირველი უკვე გამოეხმაურა იაპონიის სახელმწიფო, რომელმაც, საქართველოს ისტორიაში პირველმა, ოფიციალურ დოკუმენტში ჩვენი ქვეყანა მოიხსენია, როგორც **„საქართველო“.**

ეს ერთი და სხვა მრავალი!

დასის დარბაზის სახელით:

**გიორგი (გოგი) დოლიძე** — დასის მეთაური, პროფესორი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი;

**რეზო ჩხეიძე** — კინორეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი;

**ჯუმბერ ლეჟავა** — მსოფლიო მოგზაური, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი;

**მიხეილ ჯიბუტი** — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**თენგიზ უთმელიძე** — ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი;

**ნინო სალუქვაძე** — მსოფლიო ჩემპიონი ტყვიით სროლაში, ოლიმპიური ჩემპიონი;

**ოთარ ჯანგიშერაშვილი** — რუსეთის სახალხო არტისტი, კ. სტანისლავკის პრემიის ლაურეატი;

**ნაზი ნანიკაშვილი** — მსახიობი, ქ. აშდოდის (ისრაელი) ქართულენოვანი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი;

**ილია პატაშური** — საქართველოს დამსახურებული მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი;

**მურმან გელენიძე** — მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი;

**რევაზ ბალანჩივაძე** — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**ჯემალ კვანტალიანი** — სპორტის დამსახურებლი მოღვაწე;

**ივანე ჯაფარიძე** — ჟურნალისტი, პროფესორი.

12 | № 36 (249) | 10 - 16 სექტემბერი 2014

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართული სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

„სხვა საქართველო სად არის..."

# შეიცვლება თუ არა საქართველოს საერთაშორისო დასახელება

**მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც იმდენი დასახელება ჰქონდეს, რამდენიც საქართველოს აქვს: რუსები ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას „გრუზიას" ეძახიან, თურქები და აზერბაიჯანელები – „გურჯისტანს" სომხები – „ვრასტანს", დანარჩენი მსოფლიო კი, – „ჯორჯიას". ისე, როცა „ჯორჯიას" ამბობენ, ბევრი ვერ არჩევს, რომელ „ჯორჯიაზეა" საუბარი – ამერიკულზე თუ კავკასიურზე... ამიტომ, „დედა ენის საზოგადოების" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ანზორ ბაბუხადია ინიციატივით გამოდის, რომ საქართველოს ყველა საერთაშორისო სახელი წარსულს ჩაბარდეს და მსოფლიო ხალხებმა მხოლოდ „საქართველოთი" მოგვიხსენიონ. ამით, როგორც ანზორ ბაბუხადია „ქართულ სიტყვას" ეუბნება, მხოლოდ გაუგებრობები კი არ მოიხსნება, არამედ, ისტორიული სამართლიანობაც აღდგება. „ამისათვის სახელმწიფოს დიდი ძალისხმევა არ სჭირდება – საჭიროა პოლიტიკური ნება, ცოტა ფული და გაერო-ს ტრიბუნა, საიდანაც ვიტყვით, რომ ამიერიდან საქართველო ყველასთვის საქართველოა და არა, ვთქვათ, „გრუზია", ან „ჯორჯია", – აცხადებს ანზორ ბაბუხადია.**

**– ბატონო ანზორ, რატომ მაინცდამაინც საქართველო და არა – „ჯორჯია", „გრუზია" და ასე შემდეგ?**

– გარდა იმისა, რომ საქართველო ისტორიული სახელია, ყოველ მხრივ გამართლებული თუნდაც იმიტომაა, რომ არსებობს ქართული ენა, რუსთაველი ქართველი მწერალია და, რაც მთავარია, ჩვენს კონსტიტუციაში წერია, რომ ამ ქვეყანას „საქართველო" ჰქვია.

ისტორიულ წყაროებში ვხვდებით „იბერიას", „კოლხეთს". საერთოდ, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დასახელებაა, მაგრამ ეს არც ჩემი კვლევის საგანია და არც ამის სპეციალისტი ვარ, მაგრამ ვიცი, რომ ამ ქვეყანას უნდა ერქვას საქართველო და არა – „ჯორჯია", „გრუზია", „ვრასტანი" და ასე შემდეგ. ყველა სახელმწიფომ ის დაგვარქვა, რაც თვითონ უნდოდა. „საქართველო" სახელმწიფოს საკუთარი სახელია და მისი თარგმნა არ შეიძლება.

**– ისე, მსოფლიოში ამდენი სახელი, მგონი, არც ერთ სხვა ქვეყანას არ აქვს...**

– არ მინდა, მაგრამ იძულებული ვარ, ერთი ქართული ნათქვამი გამოვიყენო, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო და სწორედ ასე დაგვემართა. თავიდანვე რომ ყოფილიყო ნება, სახელი „საქართველო" დაეცვათ და ყველა ენაზე „საქართველო" გამოეყენებინათ, ასეთი დაბნეულობა აღარ იქნებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ამისთვის არავის ეცალა – მას, ვისაც ეს უნდა გაეკეთებინა, სხვა პრობლემები ჰქონდა. იმის მტკიცება, თუ რატომ უნდა ერქვას ქვეყანას საქართველო, ცოტა მეუხერხულება. არის ქართული ენა, ქართული კინო, ქართველი მწერალი. არა გვყავს არც იბერიელი, არც კოლხი მწერალი, რადგან კოლხური ენა არ არსებობს...

**– ბატონო ანზორ, როგორც ვიცი, თქვენი ინიციატივის შესახებ ხელისუფლების წარმომადგენლები საქმის კურსში არიან – ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე და იუსტიციის მინისტრი...**

– თავდაპირველად, პრესაში ღია წერილი გამოვაქვეყნე, მერე კი, ასე ვთქვათ, პერსონალური წერილები მთავრობაშიც გავაგზავნე, მაგრამ პასუხი არავინ გამცა. ჯერჯერობით, ერთადერთი, ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე გამომეხმაურა, რამაც დიდი სტიმული მომცა და ამ თემას ამიტომაც დავუბრუნდი – მთავრობაში წერილები ხელმეორედ გავაგზავნე.

**– იმედოვნებთ, რომ პასუხს ახლა მაინც მიიღებთ?**

– ეს წერილები კანცელარიამ რამდენიმე დღის წინ ჩაიბარა და პასუხის მოცემის ვადა ჯერ არ გასულა. ამიტომ, დაველოდები... ტრაბახი არ მინდა, მაგრამ ნეტა, ვინმე წინააღმდეგი წავიდეს.

**– წინააღმდეგი რომ წავიდეს, რას იზამთ?**

– მაინტერესებს, ამ წინააღმდეგობას როგორ დამისაბუთებენ.

**– წინააღმდეგობა არ ვიცი, მაგრამ არ გამორიცხოთ, რომ თქვენი წერილი ამჯერადაც უპასუხოდ დარჩეს...**

– ამას ველარ იზამენ, რადგან ყველა იმ ადამიანის გვარი, სახელი და ტელეფონის ნომერიც ვიცი, ვინც ეს წერილები ჩაიბარა. ერთი სიტყვით, საქმის კურსში ვარ, ამ წერილებთან რა პროცესებიც მიდის.

სხვათა შორის, ვიდრე თქვენ შეგხვდებოდით, უნივერსიტეტში ვიყავი, რექტორმა ყურადღებით მომისმინა და წერილიც დაიტოვა. დოკუმენტები ჩავაბარე მეცნიერებათა აკადემიას, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ენციკლოპედია „საქართველოს". წერილები, ასევე, დაგზავნილია ორმოცამდე არასამთავრობო ორგანიზაციაში. ყველა უწყებიდან პასუხი ერთ თვეში მექნება, მაგრამ არ ვიცი, ამის მერე სახელმწიფო რას გააკეთებს. სოლიდურ ასაკში ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ვიდრე ცოცხალი ვარ, მოვასწრებ, რომ „საქართველო" საერთაშორისო ტერმინად ვაქციო.

**„დედა ენის საზოგადოების" ერთ-ერთი დამფუძნებლის პროქართული ინიციატივა – რას გადაწყვეტს მთავრობა**

„ერთმა, ძალიან დიდი თანამდებობის კაცმა თქვა, საქართველოს „კავკასიური ჯორჯია" დავირქვათო, რაც ქართულად „კავკასიელ თეთრკანიანს" ნიშნავს. ამიტომ, სპეციალისტები ამ იდეას დაუპირისპირდნენ და განაცხადეს, ესე იგი, აშშ-ში შავები არიან, ჩვენ კი, თეთრები ვართ, რაც თავისთავად რასისტული მიდგომაა და ფანტაზიის სფეროს სცილდებაო".



„არ მინდა, მაგრამ იძულებული ვარ, ერთი ქართული ნათქვამი გამოვიყენო, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო და სწორედ ასე დაგვემართა. თავიდანვე რომ ყოფილიყო ნება, სახელი „საქართველო" დაეცვათ და ყველა ენაზე „საქართველო" გამოეყენებინათ, ასეთი დაბნეულობა აღარ იქნებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ამისთვის არავის ეცალა – მას, ვისაც ეს უნდა გაეკეთებინა, სხვა პრობლემები ჰქონდა. იმის მტკიცება, თუ რატომ უნდა ერქვას ქვეყანას საქართველო, ცოტა მეუხერხულება. არის ქართული ენა, ქართული კინო, ქართველი მწერალი. არა გვყავს არც იბერიელი, არც კოლხი მწერალი, რადგან კოლხური ენა არ არსებობს..."

**– ქვეყნის დასახელების მრავალფეროვნება რა დისკომფორტს გიქმნით, ბატონო ანზორ?**

– დისკომფორტს და უხერხულობას მე კი არა, ჩვენს, მაგალითად, სპორცმენებს უქმნით. ყველა ქვეყანაში ჩვენს სახელმწიფოს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ და ეს ძალიან დამაბნეველია.

**– მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ოთხი ხელისუფლება გამოვიცვალეთ და ამ თემაზე საუბარი მაინცდამაინც ახლა რატომ დაიწყეთ?**

– აქამდეც ძალიან მაწუხებდა, მაგრამ არ მეცალა. ახლა კი, ყველაფერი გვერდზე გადავდე.

**– სხვათა შორის, ახლახან იაპონიამ ოფიციალურ დოკუმენტებში ტერმინი „საქართველო" პირველად ახსენა, რაც მთავრობის წევრებსაც გაუკვირდათ.**

– ყველაფერ ამას საინტერესო პრეისტორია აქვს: იაპონიის ელჩს შევხვდი, ამ თემაზე ვისაუბრეთ, ჩემი გულისტკივილი გავუზიარე და გვერდით დადგომა ვთხოვე. არ გავიდა დიდი ხანი და ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ პირველად ქვეყნის ისტორიაში, უცხო ქვეყანამ საერთაშორისო ხელშეკრულებაში „საქართველო" ჩაწერა.

**– სხვა ქვეყნის ელჩებსაც ხომ არ შეხვედრიხართ?**

– არა. მინდა, „რქები" ჯერ ჩემებს „მოვუხარო" და სწორ გზაზე დავაყენო. ტრაბახი არ შეიძლება, მაგრამ ეს მასალები აშშ-ში გავაგზავნე და გპირდებით, რა პასუხიც მომივა, ექსკლუზიურად „ქართულ სიტყვას" შევატყობინებ.

**– აშშ-ში მასალები ვისთან გააგზავნეთ, ბატონო ანზორ?**

– ვისთან? – ეს ჩემი საქმეა...

**– ქართველების უმეტესობას „ჯორჯიაზე" მეტად „გრუზია" აღიზიანებს. რა დაშავდება, რომ საქართველოს საერთაშორისო სახელი „ჯორჯია" იყოს?**

– ეს დანაშაულია – გამოდის, უნდა, ქვეყანას „ჯორჯია" რუსების ჯინაზე დაარქვან. ერთმა თქვა, საქართველოს „კავკასიური ჯორჯია" დავირქვათო, რაც ქართულად „კავკასიელ თეთრკანიანს" ნიშნავს. ამიტომ, სპეციალისტები ამ იდეას დაუპირისპირდნენ და განაცხადეს, ესე იგი, აშშ-ში შავები არიან, ჩვენ კი, თეთრები ვართ, რაც თავისთავად რასისტული მიდგომაა და ფანტაზიის სფეროს სცილდებაო.

სხვათა შორის, მალე, შეიძლება, პარლამენტის თავმჯდომარეს შევხვდე და თუ შევხვდი, დავუჩოქებ და ისე ვთხოვ, ამ თემას ყურადღებით შეხედოს. არა მგონია, თქვას, სხვა აზრი მაქვსო. თუ უსუფაშვილი გვერდით დამიდგება, დანარჩენებიც აჰყვებიან.

**– როგორ ფიქრობთ, ამის პოლიტიკური ნება იქნება?**

– ამის დიდი იმედი მაქვს.

**– საზოგადოების მხარდაჭერის იმედიც გაქვთ?**

– ჯერ არავინ შემხვედრია, ვისაც ამაზე უარი ეთქვას. ყველა ამბობს, კარგი ინიციატივაა, მაგრამ შეიძლება, პრობლემები შეიქმნასო. პრობლემა არ შეიქმნება, თუ პოლიტიკური ნება იქნება. თუ თანხებზეა საუბარი, ერთი მანქანით შევამციროთ რომელიმე მინისტრის, ან მისი მოადგილის ხარჯები და ეს ფული ეყოფა განცხადებებისა და ბლანკების შეცვლას. ეკონომისტი ვარ და ისიც გათვლილი მაქვს, თუ რა დაჯდება ყველაფერი ეს და თანხა საიდან უნდა მოიტანონ.

**– „ჯორჯიამ", როგორც ქვეყანამ, საერთაშორისო ასპარეზზე ცნობადობა ძნელად მოიპოვა. „საქართველოს", როგორც სახელის დამკვიდრებაც, ალბათ, გაჭირდება...**

– არ გაჭირდება. მთავარია, გაერო-ში ერთი განცხადება გაკეთდეს და ყველა ქვეყნისთვის კანონი იქნება, რომ ამიერიდან საქართველო „საქართველოთი" მოიხსენიოს და არა – „ჯორჯიად".

ესაუბრა ნათია ვერძეული

# შეიცვლება თუ არა საქართველოს საერთაშორისო დასახელება

## „დედა ენის საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებლის პროქართული ინიციატივა — რას გადაწყვეტს მთავრობა

მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც იმდენი დასახელება ჰქონდეს, რამდენიც საქართველოს აქვს: რუსები ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას „გრუზიას“ ეძახიან, თურქები და აზერბაიჯანელები - „გურჯისტანს“. ისე როცა „ჯორჯიას“ ამბობენ, ბევრი ვერ არჩევს , რომელ „ჯორჯიაზეა“ საუბარი - ამერიკულზე თუ კავკასიურზე... ამიტომ, „დედა ენის საზოგადოების“ერთ-ერთი დამფუძნებელი, ანზორ ბაბუხადია ინიციატივით გამოდის, რომ საქართველოს ყველა საერთაშორისო სახელი წარსულს ჩაბარდეს და მსოფლიო ხალხებმა მხოლოდ „საქართველოთი“ მოგვიხსენიონ. ამით, როგორც ანზორ ბაბუხადია“ქართულ სიტყვას“ეუბნება, მხოლოდ გაუგებრობები კი არ მოიხსენება, არამედ, ისტორიული სამართლიანობაც აღსდგება. „ამისათვის სახელწიფოს დიდი ძალისხმევა არ სჭირდება - საჭიროა პოლიტიკური ნება, ცოტა ფული და გაერო-ს ტრიბუნა, საიდანაც ვიტყვით, რომ ამიერიდან საქართველო ყველასთვის საქართველოა და არა, ვთქვათ, „გრუზია“, ან „ჯორჯია“, - აცხადებს ანზორ ბაბუხადია.

**- ბატონო ანზორ, რატომ მაინცდამაინც საქართველო და არა - „ჯორჯია“, „გრუზია“ და ასე შემდეგ?**

- გარდა იმისა, რომ საქართველო ისტორიული სახელია, ყოველ მხრივ გამართლებული თუნდაც იმიტომაა, რომ არსებობს ქართული ენა, რუსთაველი ქართველი მწერალია და, რაც მთავარია, ჩვენს კონსტიტუციაში წერია, რომ ამ ქვეყანას „საქართველო“ ჰქვია.

ისტორიულ წყაროებში ვხვდებით“იბერიას“, „კოლხეთს“. საერთოდ, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დასახელებაა, მაგრამ ეს არც ჩემი კვლევის საგანია და არც ამის სპეციალისტი ვარ, მაგარამ ვიცი, რომ ამ ქვეყანას უნდა ერქვას საქართველო და არა - „ჯორჯია“, „გრუზია“, „ვრასტანი“ და ასე შემდეგ.

ყველა სეხელმწიფომ ის დაგვარქვა , რაც თვითონ უნდოდა. „საქართველო“ სახელმწიფოს საკუთარი სახელია და მისი თარგმნა არ შეიძლება.

**- ისე, მსოფლიოში ამდენი სახელი, მგონი არც ერთ სხვა ქვეყანას არ აქვს...**

- არ მინდა , მაგრამ იძულებული ვარ, ერთი ქართული ნათქვამი გამოვიყენო, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო და სწორედ ასე დაგვემართა. თავიდანვე რომ ყოფილიყო ნება, სახელი „საქართველო“ დაეცვათ და ყველა ენაზე

„საქართველო“ გამოეყენებინათ, ასეთი დაბნეულობა აღარ იქნებოდა, მაგარამ, როგორც ჩანს, ამისთვის არავის ეცალა - მას, ვისაც ეს უნდა გაეკეთებინა, სხვა პრობლემები ჰქონდა. იმის მტკიცება, თუ რატომ უნდა ერქვას ქვეყანას საქართველო, ცოტა მეუხერხულება. არის ქართული ენა, ქართული კინო, ქართველი მწერალი. არა გვყავს არც იბერიელი, არც კოლხი მწერალი, რადგან კოლხური ენა არ არსებობს...

**- ბატონო ანზორ, როგორც ვიცი, თქვენი ინიციატივის შესახებ ხელისუფლების წარმომადგენლები საქმის კურსში არიან - ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე და იუსტიციის მინისტრი...**

- თავდაპირველად, პრესაში ღია წერილი გამოვაქვეყნე, მერე კი, ასე ვთქვათ, პერსონალური წერილები მთავრობაშიც გავაგზავნე, მაგრამ პასუხი არავინ გამცა. ჯერჯერობით, ერთადერთი, ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე გამომეხმაურა, რამაც დიდი სტიმული მომცა და ამ თემას ამიტომაც დავუბრუნდი - მთავრობაში წერილები ხელმეორედ გავაგზავნე.

**- იმედოვნებთ, რომ პასუხს ახლა მაინც მიიღებთ?**

- ეს წერილები კანცელარიამ რამდენიმე დღის წინ ჩაიბარა და პასუხის მოცემის ვადა ჯერ არ გასულა. ამიტომ დაველოდები... ტრაბახი არ მინდა , მაგრამ ნეტა ვინმე წინააღმდეგი წავიდეს.

**- წინააღმდეგი რომ წავიდეს რას იზამთ?**

- მაინტერესებს ამ წინააღმდეგობას როგორ დამისაბუთებენ.

**- წინააღმდეგობა არ ვიცი, მაგრამ არ გამორიცხოთ, რომ თქვენი წერილი ამჯერადაც უპასუხოდ დარჩეს...**

- ამას ველარ იზამენ, რადგან ყველა იმ ადამიანის გვარი , დახელი და ტელეფონის ნომერიც ვიცი, ვინც ეს წერილები ჩაიბარა. ერთი სიტყვით, საქმის კურსში ვარ, ამ წერილებთან რა პროცესებიც მიდის.

სხვათა შორის, ვიდრე თქვენ შეგხვდებოდით, უნივერსიტეტში ვიყავი, რექტორმა ყურადღებით მომისმინა და წერილიც დაიტოვა. დოკუმენტები ჩავაბარე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ენციკლოპედია „საქართველოს“. წერილები, ასევე, დაგზავნილია ორმოცამდე არასამთავრებო ორგანიზაციაში. ყველა უწყებიდან პასუხი ერთ თვეში მექნება, მაგრამ არ ვიცი, ამის მერე სახელმწიფო რას გააკეთებს. სოლიდურ ასაკში ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ვიდრე ცოცხალი ვარ, მოვასწრებ, რომ „საქართველო“ საერთაშორისო ტერმინად ვაქციო.

**- ქვეყნის დასახელების მრავალფეროვნება რა დისკომფორტს გიქმნით, ბატონო ანზორ?**

- დისკომფორტს და უხერხულობას მე კი არა, ჩვენს, მაგალითად, სპორცმენებს უქმნით. ყველა ქვეყანაში ჩვენს სახელმწიფოს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ და ეს ძალიან დამაბნეველია.

**- მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ოთხი ხელისუფლება გამოვიცვალეთ და ამ თემაზე საუბარი მაინცდამაინც ახლა რატომ დაიწყეთ?**

- აქამდეც ძალიან მაწუხებდა, მაგრამ არ მეცალა. ახლა კი, ყველაფერი გვერდზე გადავდე.

**- სხვათა შორის, ახლახან იაპონიამ ოფიციალურ დოკუმენტებში ტერმინი „საქართველო“ პირველად ახსენა, რაც მთავრობის წევრებსაც გაუკვირდათ.**

- ყველაფერ ამას საინტერესო პრეისტორია აქვს: იაპონიის ელჩს შევხვდი, ამ თემაზე ვისაუბრეთ, ჩემი გულისტკივილი გავუზიარე და გვერდით დადგომა ვთხოვე. არ გავიდა დიდიდ ხანი და ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ პირველად ქვეყნის ისტორიაში უცხო ქვეყანამ საერთაშორისო ხელშეკრულებაში „საქართველო“ ჩაწერა.

**- სხვა ქვეყნის ელჩებსაც ხომ არ შეხვედრიხართ?**

- არა. მინდა, „რქები“ ჯერ ჩემებს „მოვუგრიხო“ და სწორ გზაზე დავაყენო. ტრაბახი არ შეიძლება, მაგრამ ეს მასალები აშშ-ში გავაგზავნე და გპირდებით, რა პასუხიც მომივა, ექსკლუზიურად „ქართულ სიტყვას“ შევატყობინებ.

**- აშშ-ში მასალები ვისთან გააგზავნეთ, ბატონო ანზორ?**

- ვისთან? – ეს ჩემი საქმეა...

**- ქართველების უმეტესობას „ჯორჯიაზე“ მეტად „გრუზია“ აღიზიანებს. რა დაშავდება, რომ საქართველოს საერთაშორისო სახელი „ჯორჯია“ იყოს?**

- ეს დანაშაულია – გამოდის, უნდათ, ქვეყანას „ჯორჯია“ რუსების ჯინაზე დაარქვან. ერთმა თქვა, საქართველოს „კავკასიური ჯორჯია“ დავირქვათო, რაც ქართულად „კავკასიელ თეთრკანიანს“ ნიშნავს. ამიტომ, სპეციალისტები ამ იდეას დაუპირისპირდნენ და განაცხადეს, ესე იგი, აშშ–ში შავები არიან, ჩვენ კი, თეთრები ვართ, რაც თავისთავად რასისტული მიდგომაა და ფანტაზიის სფეროს სცილდებაო.

სხვათა შორის, მალე, შეიძლება, პარლამენტის თავმჯდომარეს შევხვდე, დავუოქებ და ისე ვთხოვ, ამ თემას სათანადო ყურადღება მიაქციოს. არა მგონია, თქვას, სხვა აზრი მაქვსო. თუ ბატ. დ. უსუფაშვილი გვერდით დამიდგება, დანარჩენებიც აჰყვებიან.

**– როგორ ფიქრობთ, ამის პოლიტიკური ნება იქნება?**

– ამის დიდი იმედი მაქვს

**– საზოგადოების მხარდაჭერის იმედიც გაქვთ?**

– ჯერ არავინ შემხვედრია, ვისაც ამაზე უარი ეთქვას. ყველა ამბობს, კარგი ინიციატივაა, მაგრამ შეიძლება, პრობლემები შეიქმნასო. პრობლემა არ შეიქმნება, თუ პოლიტიკური ნება იქნება. თუ თანხებზეა საუბარი, რამდენიმე თვით შეიმცირონ დაუმსახურებელი პრემიები და ეს ფული ეყოფა განცხადებებისა და ბლანკების შეცვლას. ეკონომისტი ვარ და ისიც გათვლილი მაქვს, დახლოებით რა დაჯდება ყველაფერი ეს და თანხა საიდან უნდა მოიტანონ.

**– „ჯორჯიამ“, როგორც ქვეყანამ, საერთაშორისო ასპარეზზე ცნობადობა ძნელად მოიპოვა. „საქართველოს“, როგორც სახელის დამკვიდრებაც, ალბათ, გაჭირდება...**

– არ გაჭირდება. მთავარია, გაერო-ში ერთი განცხადება გაკეთდეს და ყველა ქვეყნისთვის კანონი იქნება, რომ ამიერიდან საქართველო „საქართველოთი“ მოიხსენიოს და არა – „ჯორჯიად“.

ესაუბრა **ნათია ვერძეული**

# საქართველოს მსოფლიოს ყველა ენაზე საქართველო უნდა ერქვას...

**გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, იაკობ გოგებაშვილის მედლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, ბატონი ანზორ ბაბუხადია.**

**— ბატონო ანზორ, კარგა ხანია წერთ იმაზე, რომ საქართველოს სწორედ საქართველო უნდა ეწოდოს მსოფლიოს ყველა ენაზე, რაც კონსტიტუციით არის დაკანონებული.**

— ოც წელზე მეტია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის, „საერთო გაზეთში“, ვაქვეყნებდი ჩვენი ქვეყნისთვის ყველა



მტკივნეულ და აქტუალურ პრობლემასთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს.

ჩვენს ქვეყანას საქართველო რომ უნდა ეწოდოს მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე, ეს საკითხიც კარგა ხანია დავაყენე საზოგადოების წინაშე. გავითვალისწინე თქვენი გაზეთის განსაკუთრებული ავტორიტეტი და მოუკერძოებლობა, გამართლებულად ჩავთვალე, თქვენთან მეთქვა შემაჯამებელი, ე. წ. სეფე-სიტყვა საქართველოსთვის ამ ერთ-ერთი უპირველესი პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებით ჩატარებული საქმიანობის შესახებ.

**— თუ უჭერს მხარს ქართული საზოგადოება თქვენს ინიციატივას?**

— ამ საქმეში, ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სამინისტროს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც ოფიციალურად პირისპირ შევხვდი, ჩვენი იდეის ხორცშესხმას კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმ მოტივით, რომ თუ დღის წესრიგში დადგება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო დონეზე, ანუ გაეროს მიერ აღიარებული სახელწოდების შეცვლა, ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტზე. აქედან გამომდინარე, მას ამის გაკეთება, ამ ეტაპზე, პოლიტიკურად ყოვლად გაუმართლებლად მიაჩნია. მისივე თქმით, ამ პრობლემის თაობაზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტს და საქართველოს მთავრობას. მადლობა მას ასეთი „ბრძნული“ დარიგებისათვის.

ერთ-ერთი სერიოზული ქართველი მეცნიერი ჩვენი იდეის განხორციელებას მთლიანად უჭერს მხარს და თან დასძენს, რომ, პრაქტიკულად, ამის რეალიზაცია შეუძლებელია, რადგან ჩვენი ქვეყნის ცნობადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება და, რაც მთავარია, გაეროს მიერ დამტკიცებული 194 დამოუკიდებელი ქვეყნის ალფაბეტის თანმიმდევრობით დაწყობილ ჩამონათვალში, ჩვენი ქვეყანა 64-ე ადგილიდან გადაინაცვლებს არაპრესტიჟულ მერვე ათეულშიო. ჩემს ოპონენტებს შევახსენებ, რომ ამ ჩამონათვალში საქართველოს შემდეგ იქნებიან საუდის არაბეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, უკრაინა, არაბეთის გაერთიანებული საემიროები და სხვები.

მეცნიერთა გარკვეულ ჯგუფს მიაჩნია, რომ ჩვენი იდეა მისაღებია, მაგრამ განუხორციელებელი. მათი აზრით, ამ ეტაპზე, საქართველოსთვის უცხო ქვეყნების მიერ შერქმეული სახელწოდების შეცვლა ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიკოსებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს ისტორიის პრობლემებზე, შეუქმნის გარკვეულ პრობლემებს.

**— ოპონენტები რას ამბობენ?**

— ერთ-ერთ ყველაზე სერიოზული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულების ორმა ტიტულოვანმა თანამშრომელმა, თითქოს ვიღაცამ დაავალათ, ცალ-ცალკე დოკუმენტში განაცხადეს, რომ ამ საკითხის დაყენება არასერიოზულია... საქართველოს ბევრი სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს გადასაჭრელი და წამოყენებული წინადადება განსახილველად არ ღირსო;

ერთ-ერთი ოპონენტი კი აცხადებს: „ამჟამად, როდესაც ჩვენი ქვეყანა ცდილობს დაუბრუნდეს ევროპულ ცივილიზაციას, არასასურველი იქნება, რომ მას სახელი გადაერქვას. ეს, სულ მცირე, არაფერს მოგვცემს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინააღმდეგი ვარ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო იწოდებოდეს „SAQARTVELO“ (წესით, ამ სიტყვის ნაცვლად, განათლებულ და დიდი პრეტენზიების მქონე პიროვნებას უნდა დაეწერა „SAQARTVELO“).

ერთ-ერთმა შემოქმედებითმა კავშირმა, მათდამი ჩემი დადებითი პირადი დამოკიდებულების მიუხედავად, მაცნობა, რომ თითქოს გამგეობის სხდომის ყველა მონაწილემ, ერთხმად კატეგორიული უარი განაცხადა ჩვენს წინადადებასთან დაკავშირებით.

სამაგიეროდ, ოფიციალურად უკვე 40-მდე ორგანიზაციამ, 30-ზე მეტმა საგვარეულოს წინამძღოლმა, 10-მდე მასმედიის დაწესებულებამ, 20-ზე მეტმა საქვეყნოდ ცნობილმა პიროვნებამ ოფიციალურად მაცნობა თავისი მხარდაჭერის შესახებ. რამდენიმე ორგანიზაცია და პიროვნება უახლოეს დღეებში, ოფიციალურად კიდევ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ საშვილიშვილო საქმისადმი.

აქვე მინდა გაგიმხილოთ ერთი საიდუმლო.. ვიდრე ამ პრობლემას შევეჭიდებოდი გარკვეული კონსულტაცია მივიღე ქვეყანაში ამ საქმის ერთ-ერთი უპირველესი მეცნიერისგან, რომელმაც ბრძანა: „არ მეგულება ჭკუათმყოფელი კაცი, რომელიც ამ იდეას მხარს არ დაუჭერს“. თან, გამაფრთხილა, ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოგიწევსო.

ალბათ, ცალკე საუბრის თემა გახდება საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების არაადეკვატური დამოკიდებულება ჩემი ოფიციალური წერილებისა და პუბლიკაციებისადმი. ამაზე დეტალურად სხვა დროს ვისაუბროთ.

**— რამდენად სწორად მიგაჩნიათ, ანუ თუ დაფიქრებულხართ იმაზე, უხეშად რომ ვთქვათ, ვის სჭირდება დღეს საქართველოსთვის ამ სახელწოდების გაჟღერება მსოფლიოს ყველა ენაზე, როცა ეროვნების გრაფა პირადობის მოწმობებიდან საერთოდ ამოშალეს?**

— მოდით, ამ ორ საკითხს ამჟამად ნუ დავუპირისპირებთ ერთმანეთს. დარწმუნებული გახლავართ, რომ, როცა ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე დაუკანონდება თავისი ღირსეული სახელწოდება **საქართველო,** ამის შემდეგ აუცილებლად გადაწყდება თქვენს მიერ დასმული აქტუალური პრობლემაც. მით უმეტეს, რომ მისი განხორციელება ხელეწიფება საქართველოს პარლამენტს.

**ანა ვადაჭკორია**
**568 97 61 60**



# პრეზიდენტის შეცდომა

ადამიანის სიცოცხლის დაცვა სახელმწიფოს არსებობის ქვაკუთხედად მიიჩნევა ცივილიზებულ საზოგადოებაში. ჰუმანიზმი არ აძლევს სახელმწიფოს უფლებას ხელჰყოს თუნდაც დამნაშავის სიცოცხლე.

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, როდესაც ე. შევარდნაძეს გლოვობდა, საპრეზიდენტო სიტყვაში იგი საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმების ინიციატორად წარმოადგინა. ეს სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს, რისი შემოწმებაც ფრიად მარტივია, საკმარისია, ადამიანი გაეცნოს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 15 მარტს მიღებულ კანონს. იხილეთ გაზეთი „ქართველი ერი“ №6 (10), მარტი, 1991 წელი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**„ზოგიერთი დანაშაულის სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“**

**ხელმძღვანელობს რა ჰუმანურობისა და კაცთმოყვარეობის პრინციპებით, აგრეთვე მოქალაქეების, შრომითი კოლექტივებისა და ორგანიზაციების მოთხოვნით იმის თაობაზე, რომ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა, როგორც დროებითი და იძულებითი ღონისძიება, არ იქნეს გამოყენებული ზოგიერთი დანაშაულისთვის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:**

**1. გაუქმებული იქნეს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა დანაშაულისთვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლით (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება), 89-ე მუხლით (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა), 96 პრიმა მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება) და 189-ე მუხლით (ქრთამის აღება).**

**2. იმ განაჩენში, რომლითაც ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული დანაშაულისთვის დადგენილი სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა ამ კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე არ არის მოყვანილი სისრულეში, ზემდგომი სასამართლო სიკვდილით დასჯას შეცვლის თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტი (15) წლამდე.**

**3. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნას მიღებისთანავე.**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზვიად გამსახურდია**
**ქ. თბილისი, 1991 წლის 15 მარტი“.**

საქართველოში ახსოვთ ე. შევარდნაძის ორივე მმართველობა, როგორც 1972-1985 წწ. ასევე 1992-2003 წწ. მისი რეჟიმების დროს არაერთი სასიკვდილო განაჩენი იქნა გამოტანილი და აღსრულებული, მათ შორის, ე. წ. ეკონომიკური ხასიათის სამართალდარღვევებზე. 1992 წელს ე. წ. სამხედრო-საველე სასამართლოებიც კი მოქმედებდნენ და გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენი და მათ აღასრულებდნენ კიდეც. ასე რომ, ე. შევარდნაძე არანაირად არ შეიძლება გაიმიჯნოს სასიკვდილო განაჩენისგან. საქართველოში სიკვდილით დასჯა თუ გაუქმდა, მხოლოდ იმის გამო, რომ 1999 წელს ჩვენი ქვეყანა მიიღეს ევროპის საბჭოში, რომლის უპირობო მოთხოვნაა მისი წევრი ქვეყნების მიერ სიკვდილით დასჯის გაუქმება. ასე რომ, შეცდომა მოუვიდა ბატონ პრეზიდენტს, როდესაც დაუმსახურებლად მიაწერა ე. შევარდნაძეს ჰუმანიზმის ალამდარობა.

**დავით არაბიძე**

# საქართველოს მსოფლიოს ყველა ენაზე საქართველო უნდა ერქვას...

**გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, იაკობ გოგებაშვილის მედლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, ბატონი ანზორ ბაბუხადია.**

**— ბატონო ანზორ, კარგა ხანია წერთ იმაზე, რომ საქართველოს სწორედ საქართველო უნდა ეწოდოს მსოფლიოს ყველა ენაზე, რაც კონსტიტუციით არის დაკანონებული.**

— ოც წელზე მეტია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის, „საერთო გაზეთში", ვაქვეყნებდი ჩვენი ქვეყნისთვის ყველა მტკივნეულ და აქტუალურ პრობლემასთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს.

ჩვენს ქვეყანას საქართველო რომ უნდა ეწოდოს მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე, ეს საკითხიც კარგა ხანია დავაყენე საზოგადოების წინაშე. გავითვალისწინე თქვენი გაზეთის განსაკუთრებული ავტორიტეტი და მოუკერძოებლობა, გამართლებულად ჩავთვალე, თქვენთან მეთქვა შემაჯამებელი, ე. წ. სეფე-სიტყვა საქართველოსთვის ამ ერთ-ერთი უპირველესი პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებით ჩატარებული საქმიანობის შესახებ.

**— თუ უჭერს მხარს ქართული საზოგადოება თქვენს ინიციატივას?**

— ამ საქმეში, ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სამინისტროს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც ოფიციალურად პირისპირ შევხვდი, ჩვენი იდეის ხორცშესხმას კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმ მოტივით, რომ თუ დღის წესრიგში დადგება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო დონეზე, ანუ გაეროს მიერ აღიარებული სახელწოდების შეცვლა, ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტზე. აქედან გამომდინარე, მას ამის გაკეთება, ამ ეტაპზე, პოლიტიკურად ყოვლად გაუმართლებლად მიაჩნია. მისივე თქმით, ამ პრობლემის თაობაზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტს და საქართველოს მთავრობას. მადლობა მას ასეთი „ბრძნული" დარიგებისათვის.

ერთ-ერთი სერიოზული ქართველი მეცნიერი ჩვენი იდეის განხორციელებას მთლიანად უჭერს მხარს და თან დასძენს, რომ, პრაქტიკულად, ამის რეალიზაცია შეუძლებელია, რადგან ჩვენი ქვეყნის ცნობადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება და, რაც მთავარია, გაეროს მიერ დამტკიცებული 194 დამოუკიდებელი ქვეყნის ალფაბეტის თანმიმდევრობით დაწყობილ ჩამონათვალში, ჩვენი ქვეყანა 64-ე ადგილიდან გადაინაცვლებს არაპრესტიჟულ მერვე ათეულშიო. ჩემს ოპონენტებს შევახსენებ, რომ ამ ჩამონათვალში საქართველოს შემდეგ იქნებიან საუდის არაბეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, უკრაინა, არაბეთის გაერთიანებული საემიროები და სხვები.

მეცნიერთა გარკვეულ ჯგუფს მიაჩნია, რომ ჩვენი იდეა მისაღებია, მაგრამ განუხორციელებელი. მათი აზრით, ამ ეტაპზე, საქართველოსთვის უცხო ქვეყნების მიერ შერქმეული სახელწოდების შეცვლა ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიკოსებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს ისტორიის პრობლემებზე, შეუქმნის გარკვეულ პრობლემებს.

**— ოპონენტები რას ამბობენ?**

— ერთ-ერთ ყველაზე სერიოზული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულების ორმა ტიტულოვანმა თანამშრომელმა, თითქოს ვიღაცამ დაავალათ, ცალ-ცალკე დოკუმენტში განაცხადეს, რომ ამ საკითხის დაყენება არასერიოზულია... საქართველოს ბევრი სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს გადასაჭრელი და წამოყენებული წინადადება განსახილველად არ ღირსო;

ერთ-ერთი ოპონენტი კი აცხადებს: „ამჟამად, როდესაც ჩვენი ქვეყანა ცდილობს დაუბრუნდეს ევროპულ ცივილიზაციას, არასასურველი იქნება, რომ მას სახელი გადაერქვას. ეს, სულ მცირე, არაფერს მოგვცემს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინააღმდეგი ვარ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო იწოდებოდეს „შაქარტველო" (წესით, ამ სიტყვის ნაცვლად, განათლებულ და დიდი პრეტენზიების მქონე პიროვნებას უნდა დაეწერა „შაქარტველო").

ერთ-ერთმა შემოქმედებითმა კავშირმა, მათდამი ჩემი დადებითი პირადი დამოკიდებულების მიუხედავად, მაცნობა, რომ თითქოს გამგეობის სხდომის ყველა მონაწილემ, ერთხმად კატეგორიული უარი განაცხადა ჩვენს წინადადებასთან დაკავშირებით.

სამაგიეროდ, ოფიციალურად უკვე 40-მდე ორგანიზაციამ, 30-ზე მეტმა საგვარეულოს წინამძღოლმა, 10-მდე მასმედიის დაწესებულებამ, 20-ზე მეტმა საქვეყნოდ ცნობილმა პიროვნებამ ოფიციალურად მაცნობა თავისი მხარდაჭერის შესახებ. რამდენიმე ორგანიზაცია და პიროვნება უახლოეს დღეებში, ოფიციალურად კიდევ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ საშვილიშვილო საქმისადმი.

აქვე მინდა გაგიმხილოთ ერთი საიდუმლო. ვიდრე ამ პრობლემას შევეჭიდებოდი გარკვეული კონსულტაცია მივიღე ქვეყანაში ამ საქმის ერთ-ერთი უპირველესი მეცნიერისგან, რომელმაც ბრძანა: „არ მეგულება ჭკუათმყოფელი კაცი, რომელიც ამ იდეას მხარს არ დაუჭერს". თან, გამაფრთხილა, ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოგიწევსო.

ალბათ, ცალკე საუბრის თემა გახდება საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების არაადეკვატური დამოკიდებულება ჩემი ოფიციალური წერილებისა და პუბლიკაციებისადმი. ამაზე დეტალურად სხვა დროს ვისაუბროთ.

**— რამდენად სწორად მიგაჩნიათ, ანუ თუ დაფიქრებულხართ იმაზე, უხეშად რომ ვთქვათ, ვის სჭირდება დღეს საქართველოსთვის ამ სახელწოდების გაჟღერება მსოფლიოს ყველა ენაზე, როცა ეროვნების გრაფა პირადობის მოწმობებიდან საერთოდ ამოშალეს?**

— მოდით, ამ ორ საკითხს ამჟამად ნუ დავუპირისპირებთ ერთმანეთს. დარწმუნებული გახლავართ, რომ, როცა ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე დაუკანონდება თავისი ღირსეული სახელწოდება საქართველო, ამის შემდეგ აუცილებლად გადაწყდება თქვენს მიერ დასმული აქტუალური პრობლემაც. მით უმეტეს, რომ მისი განხორციელება ხელეწიფება საქართველოს პარლამენტს.

**ანა ვადაჭკორია**

## «ВЕЧЕРНИЙ ТБИЛИСИ»
## 15-18 НОЯБРЯ 2014, №79, (45)

# САКАРТВЕЛО! ТОЛЬКО И ТОЛЬКО ТАК!

Уважаемая редакция "Вечернего Тбилиси", довожу до вашего сведения, что 2 августа 2013 года в газете "Сакартвелос республика" было опубликовано мое письмо под названием "Где есть другая Грузия?". В этом письме я высказал свое мнение по поводу того, что нашу страну на всех языках мира должны называть одним именем — Сакартвело. В этой же газете 20 июня 2014 года было напечатано мое второе письмо — "Да, Сакартвело, только так!". Мою точку зрения поддержало заявление 14-и членов общества "Чохосани" имени Какуцы Чолокашвили, опубликованное в газете "Сакартвело да мсоплио" 16 июля 2014 года. Все это свидетельствует о том, что необходимо вернуть нашей стране собственное, достойное название — Сакартвело. В прошлое должны уйти такие названия как Грузия, Гюрджистан, Врастан, Джорджиа...

С моим мнением полностью согласны известные деятели культуры — Марика Лорткипанидзе, Резо Чхеидзе, творческие Союзы писателей, композиторов, архитекторов Грузии, Академия педагогических наук Грузии, международная организация "Народная дипломатия", общество "Тбилисели", Тбилисская академия художеств, всего более ста организаций. И этот перечень персон и организаций, поддерживающих мою идею, день ото дня растет. Если мы не добьемся положительного решения столь важной для нас проблемы, уверен, что, в конце концов, историческую справедливость восстановят наши потомки.

Анзор БАБУХАДИЯ.

ღმერთმა დალოცოს გაზეთ „თანადგომის“ გამომცემელნი და მკითხველნი.

# თანადგომა

სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა...
გალაკტიონი

**საზოგადოებრივი საინფორმაციო გაზეთი**

**მისამართი: თბილისი, ირ. აბაშიძის 6, ბინა 4; ტელ: 2 22 43 39; 599 54 54 60; 579 54 54 60**

№______ „ 3 „ „ 11 „ 2014წ.

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ *გიორგი მარგველაშვილს*

საქართველოს პრემიერ მინისტრს
ბატონ *ირაკლი ღარიბაშვილს*

**ბატონო გიორგი,**

**ბატონო ირაკლი,**

ქართული პრესის მეშვეობით, პირადად თქვენ, ღია წერილის ფორმატით, არაერთხელ მოგმართეთ იმის თაობაზე, რომ ჩვენს ქვეყანას, მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე, ეწოდოს „საქართველო“. იმის გამო, რომ ამ პუბლიკაციებს თქვენი მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, იძულებული გავხდი, დამატებით შემეწუხებინეთ და პირადად თქვენი მისამართით გამომეგზავნა სპეციალური წერილი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით, ასევე რეაგირების გარეშე დარჩა.

გაახლებთ ზოგიერთი პუბლიკაციის ჩამონათვალს:

- **„სხვა საქართველო სად არის?!,** ანუ რა უნდა ეწოდოს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ყველა ენაზე“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2013 წლის 2 აგვისტო);
- **„დიახ, „საქართველო“ არის ესე“** (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 2014 წლის 20 ივნისი);
- **„ჩოხოსან რაინდთა დასის განცხადება“** (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2014 წ. 16.07);
- **„საქართველო ყველგან საქართველოდ უნდა იწოდებოდეს!“** (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2014 წლის 15 აგვისტო);
- **„საქართველოს უკანონო სახელები წარსულს უნდა ჩაბარდეს“** აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 2014 წლის 21 აგვისტო);
- **„გრუზია“, „ჯორჯია“ თუ „საქართველო“ (გაზ.** „საქართველოს რესპუბლიკა“, 2014 წლის 13.09);
- **„შეიცვლება თუ არა საქართველოს საერთაშორისო დასახელება“** (გაზ. „ქართული სიტყვა“, 2014 წლის 16 სექტემბერი);
- **„რომელია დღეს სარწმუნო“** (გაზ. „სახალხო განათლება“ 2014 წ. 1.10) და სხვ.

ბატონო გიორგი,

ბატონო ირაკლი,

თქვენდამი პირადად ჩემი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების მიუხედავად, გულახდილად, მამა-შვილური პოზიციიდან გამომდინარე მოგახსენებთ, რომ თქვენი ადმინისტრაციის მხრიდან, საქართველოს უპირველესი და გადაუდებელი პრობლემისადმი ამგვარი დამოკიდებულება გ ა მ ა ო გ ნ ე ბ ე ლ ი ა!

უფრო მეტიც, ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე მივაკითხე თქვენს შესაბამის სამსახურებს, სადაც განმიცხადეს, რომ გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებზე ან სატელევიზიო გადაცემებში გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე ჩვენს აპარატს არავითარი რეაგირება არ ევალებათო. (სხვა ზოგიერთ დეტალზე მოგახსენებთ მხოლოდ პირადი შეხვედრის დროს). რაც შეეხება ჩვენს ოფიციალურ წერილებზე რეაგირებას, ნუ იტყვით და თურმე ეს წერილები ცნობად იქნა მიღებული.

ვიმედოვნებ, რომ ბოლოს და ბოლოს ეს წერილი მაინც გახდება თქვენი ყურადღების ღირსი და მაცნობებთ შესაბამისი გადაწყვეტილების თაობაზე.

პატივისცემით

*ანზორ ბაბუხადია*

გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი
ტ.: 2 22 43 39; 599 54 54 60

P.S. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, უკვე ხელთა გვაქვს 40-მდე სახელმწიფო მართვის სტრუქტურის, სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების, შემოქმედებითი კავშირის, არასამთავრობო, საზოგადოებრივი და სპორტული ორგანიზაციის ოფიციალური გამოხმაურება; 30-ზე მეტი საგვარეულოს წინამძღოლის, 10-მდე მასმედიის საშუალების, 20-ზე მეტი საქვეყნოდ ცნობილი პიროვნების მხარდამჭერი გამოხმაურება.

KA000043890959714

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

კანცელარიის მიღების ბარათი

წერილის ნომერი: 1/11249
წერილის თარიღი: 05 ნოემბერი 2014

გამომგზავნის თარიღი: 05 ნოემბერი 2014
გამომგზავნი: ანზორ ბაბუხადია - ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N6, ბ.4
შინაარსი: საქართველოს სახელწოდების შესახებ.
ფურცლების რაოდენობა ძირითადში: 2, დანართში: 0

შემოსვლის მეთოდი: ხელზე
გასვლის მეთოდი: გაურკვეველია

მიღების თარიღი: 05 ნოემბერი 2014 12:46
მიმდინარე თარიღი: 05 ნოემბერი 2014 12:46

ა. 1 2-97-16-85

საქართველოს მთავრობის კანცელარია

წერილის სარეგ. ნომერი 37381
რეგისტრაციაში გატარების თარიღი 05.11.14
ფურცლების რაოდენობა 2

*დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ*
*2 990 900 და შემდეგ 1*

# ბოლოთქმა

ბუნებრივია, ყველა სერიოზულ საქმეს, თან ახლავს ოპოზიციური აზრები. ამ თვალსაზრისით, არც ჩემი იდეა გახლავთ გამონაკლისი და პირად საუბრებში თუ საჯარო გამოსვლებში დაფიქსირდა მათი შემდეგი პოზიციები:

— ერთ-ერთი დარგობრივი აკადემიის სხდომაზე ამ პრობლემის თაობაზე ჩემი სიტყვით გამოსვლის შემდეგ, ერთმა „მეცნიერმა“ ბრძანა: **დროა საქართველოს დაუბრუნდეს თავისი ისტორიული სახელი. სამწუხაროდ, ჩვენ ამდენი საუკუნეა ვითმენთ, რომ ჩვენ ქვეყანას „საქართველო“ ჰქვია. მოვა დრო, როცა ჩვენი მომავალი თაობა, შვილები და შვილიშვილები ამას აღარ მოითმენენ და დააყენებენ საკითხს, რომ თავიანთ ქვეყანას, ბოლოს და ბოლოს, დაუბრუნდეს მისი ისტორიული სახელი“** (რომელ სახელს გულისხმობდა, არ უთქვამს).

— ერთ-ერთმა მეცნიერმა (ეს უკვე სხვა შეკრებაზე) განმიცხადა, რომ არ ვიზიარებ შენს პოზიციას იმიტომ, რომ ვიდრე ჩვენს ქვეყანას ჰქვია „საქართველო“, აფხაზები და ოსები ჩვენსკენ არც კი გამოიხედავენო.

— ოპონენტების არცთუ ისე მცირე რაოდენობას მიაჩნია, რომ სიტყვა „საქართველო“, უცხოელთათვის რთულად გამოსათქმელია და ამიტომ, ამ ეტაპზე ჩვენი ქვეყნისთვის საერთაშორისო დონეზე „საქართველოს“ დარქმევა გამართლებული არ არის.

— ქვეყნის „პატრიოტთა“ გარკვეული ნაწილი თვლის, რომ საერთაშორისო დონეზე „საქართველოს“ სახელის დამკვიდრება, დიდ ფინანსურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

— ამ საქმეში, ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სამინისტროს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც ოფიციალურად პირისპირ შევხვდი, ჩემი იდეის ხორცშესხმას კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმ მოტივით, რომ თუ დღის წესრიგში დადგება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო დონეზე ანუ გაეროს მიერ აღიარებული სახელწოდების შეცვლა, ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს ქვეყნის ავტორიტეტზე. აქედან გამომდინარე, მას ამის გაკეთება, ამ ეტაპზე, პოლიტიკურად ყოვლად გაუმართლებლად მიაჩნია. მისივე თქმით, თურმე, ამ პრობლემის თაობაზე, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტს და საქართველოს მთავრობას.

— ერთ-ერთი სერიოზული ქართველი მეცნიერი, ჩემი იდეის განხორციელებას მთლიანად უჭერს მხარს და თან დასძენს, რომ პრაქტიკულად ამის რეალიზაცია შეუძლებელია, რადგან ჩვენი ქვეყნის ცნობადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება და, რაც მთავარია, გაეროს მი-

ერ დამტკიცებული 194 დამოუკიდებელი ქვეყნის ანბანური თანმიმდევრობით დაწყობილ ჩამონათვალში, ჩვენი ქვეყანა, 64-ე ადგილიდან გადაინაცვლებს არაპრესტიჟულ მერვე ათეულშიო. ჩემს ოპონენტებს შევახსენებ, რომ ამ ჩამონათვალში, საქართველოს შემდეგ იქნებიან საუდის არაბეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, უკრაინა, არაბეთის გაერთიანებული ემირატები და სხვები.

— მეცნიერთა გარკვეულ ჯგუფს მიაჩნია, რომ იდეა მისაღებია, მაგრამ განუხორციელებელი. მათი აზრით, ამ ეტაპზე, საქართველოსთვის უცხო ქვეყნების მიერ შერქმეული სახელწოდების შეცვლა ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიკოსებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს ისტორიის პრობლემებზე, შეუქმნის გარკვეულ უხერხულობას;

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულების ორმა ტიტულოვანმა თანამშრომელმა, თითქოს ვილაცამ დაავალათ, ცალ-ცალკე დოკუმენტში (რომელიც ერთად აკინძული გადმომეცა) განაცხადა:

— „მიმაჩნია, რომ ამ საკითხის დაყენება არასერიოზულია... საქართველოს ბევრი სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს გადასაჭრელი და, არა მგონია, წამოყენებული წინადადება განსახილველად ღირდეს“.

— „ამჟამად, როდესაც ჩვენი ქვეყანა ცდილობს დაუბრუნდეს ევროპულ ცივილიზაციას, არასასურველი იქნება, რომ მას სახელი გადაერქვას. ეს, სულ მცირე, არაფერს მოგვცემს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინააღმდეგი ვარ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო იწოდებოდეს „SAKARTVELO“. (წესით ამ სიტყვის ნაცვლად, განათლებულ და დიდი პრეტენზიების მქონე პიროვნებას უნდა დაეწერა „SAQARTVELO“!).

— ერთ-ერთმა შემოქმედებითმა კავშირმა, მათდამი ჩემი დადებითი პირადი დამოკიდებულების მიუხედავად, ვითომდა გამგეობის სხდომის ყველა მონაწილემ, ერთხმად კატეგორიული უარი განაცხადა ჩვენს წინადადებასთან დაკავშირებით.

**ამ პრინციპების სიმართლეში ვერც ერთმა მათგანმა ვერ დამარწმუნა და ამიტომ მათზე წერილობითი პასუხიც კი არ გამიცია.**

***ანზორ ბაბუხადია***

**P.S. ულრმეს მადლობას ვუხდი ყველას, ვინც გულთან ახლოს მიიტანა, მხარი დამიჭირა და თანადგომა გამომიცხადა ჩემი აზრით, ამ დიდად მნიშვნელოვან საქმეში.**

**ა.ბ.**

# სარჩევი

**წინათქმა** ------------------------------------------------------------------- 3
ღია წერილი საქართველოს ხელისუფლებას ---------------------------------- 5

**გამოხმაურებები**
აკად. მარიამ ლორთქიფანიძე ------------------------------------------------ 6
კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე ------------------------------------------------- 7
საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე -------------------------------------- 8
პროფ. გიგა ბათიაშვილი ---------------------------------------------------- 9
მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი -----------------------------------------10
პროფ. მინდია უგრეხელიძე ---------------------------------------------- 11
პროფ. მიხეილ მახარაძე ------------------------------------------------- 11
ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი ----------------------------------------- 12
პროფ. ვაჟა ლორთქიფანიძე ----------------------------------------------13
პროფ. ოთარ მელქაძე ----------------------------------------------------14
პროფ. არნოლდ გეგეჭკორი ------------------------------------------------14
„პიონერფილმი“ — გრიგოლ ჩიგოგიძე ------------------------------------15
ქართველ კომპოზიტორთა ჯგუფი ---------------------------------------16
პოეტი ერეკლე საღლიანი ----------------------------------------------17
პარლამენტარი ელისო ჩაფიძე ---------------------------------------18
ვეტერანი ჟურნალისტი გიორგი ნაჭყებია --------------------------------19

* * *

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია -------------------------- 20
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ------------------------------------- 21
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ----------------------- 22
საქართველოს ხელოვნების მუზეუმი ---------------------------------------- 22
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი ------------------------- 23
საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია ----------------------------- 24
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია ----------------------- 26
საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია -- 27
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ---------------------------- 28
საქართველოს ფაზისის საერო აკადემია -------------------------------------- 29
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ------------------------------- 30
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი --------------------------- 31
სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება ---------------------- 32
საერთაშორისო საზოგადოება „სტალინი“ ----------------------------------- 33

საზოგადოება „თბილისელი“ ---------------------------------------------------- 34
საზოგადოება „ქუთაისელი“ ---------------------------------------------------- 35
საზოგადოება „ზუგდიდელი“ --------------------------------------------------- 36
ქალაქ თბილისში ფოთელების საზოგადოება ----------------------------------- 37
ს/ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ -- 38
საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი --------------------------------------- 40
საქართველოს თეატრალური საზოგადოება ----------------------------------- 41
საქართველოს ქორეოგრაფიის შემოქმედებითი კავშირი --------------------- 42
საქართველოს მხატვართა კავშირი --------------------------------------------- 44
საქართველოს არქიტექტორთა კავშირი --------------------------------------- 45
ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაცია „რუსთაველი“ ------------------------ 46
საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია ------------------------- 47
საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი -------------------------------- 48
საკალათბურთო კლუბი „მაქაბი“ ----------------------------------------------- 49
საქართველოს ვეტერან-მოჭიდავეთა კავშირი -------------------------------- 50
ვეტერანთა კავშირი „ვეტერანები მშვიდობისათვის“ ------------------------- 51
ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის --------------------------- 52
საერთაშორისო ორგანიზაცია სახალხო დიპლომატია ----------------------- 53
იურისტთა ჯგუფი ----------------------------------------------------------------- 54
საქართველოს მცირე მეწარმეთა ასოციაცია --------------------------------- 55
ასოციაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ -------------------------- 56

* * *

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზი ----------------- 57
ბერიძეთა საგვარეულო დარბაზი ---------------------------------------------- 58
მაისურაძეების საგვარეულო საზოგადოება ----------------------------------- 59
ჩხეიძეების საგვარეულო სახლი ------------------------------------------------ 60
სიხარულიძეების საგვარეულოს სადროშო ----------------------------------- 61
გვარების საინიციატივო ჯგუფის სახელით ხელმოწერილი თანხმობები ---- 61

* * *

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ — ჩოხოსან რაინდთა განცხადება ---- 62-63
გაზეთი „ქართული სიტყვა“ ------------------------------------------------ 64-67
„საერთო გაზეთი“ --------------------------------------------------------- 68-70
გაზეთი „Вечерний Тбилиси“ ---------------------------------------------------- 71
გაზეთ „თანადგომის“ წერილი საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს
პრემიერ-მინისტრს“ -------------------------------------------------- 72-73
**ბოლოთქმა** ----------------------------------------------------------------- 74

# მკითხველის გვერდი

## შენიშვნებისა და წინადადებებისათვის

ანზორ ბაბუხადია – 599 54 54 60; 2 22 43 39
E-mail: anzorbabu@mail.ru

# მკითხველის გვერდი

## შენიშვნებისა და წინადადებებისათვის

ანზორ ბაბუხადია – 599 54 54 60; 2 22 43 39
E-mail: anzorbabu@mail.ru

აიწყო-დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
მის.: თბილისი, დიღმის მასივი, რობაქიძის №7
ტელ.: 599 95 31 90